აჭარა

გამოცემის 104-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის პარასკევობით

№28 (25.156) 26 ივლისი, 2024 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო და მთიან რაიონებში - 28-33 გრადუსი სითბო. ზღვის წყლის ტემპერატურა 27 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 750 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს - საღამოს და ღამის საათებში მოსალოდნელია დროგამოშვებით წვიმა ელჭექით.

თანამშრომლობა შეაფასეს

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიუვაძე პოლონეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში მარიუშ მაშკევიჩს შეხვდა

აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ ელჩს რეგიონის ტურისტული და საინვესტიციო გარემოს შესახებ ინფორმაცია გააცნო. შეხვედრის ფარგლებში, საუბარი შეეხო სხვადასხვა მიმართულებით თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივებსა და პოტენციალს.

თორნიკე რიუვაძის განცხადებით, ქვეყნებს შორის პარტნიორობა მოიცავს ჯანდაცვის, განათლების, კულტურის მიმართულებებს. როგორც მან აღნიშნა, პოლონეთი საქართველოს ერთ-ერთი უმსხვილესი ინვესტორია. აღსანიშნავია, რომ მუდმივად იმართება მაღალი რანგის ვიზიტები და ღონისძიებები როგორც ცენტრალურ, ასევე რეგიონულ დონეზე.

- აჭარის მთავრობის თავმჯდომარესთან შეხვედრისას მქონდა შესაძლებლობა მადლიერება გამომეხატა ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის პოლონეთთან, მის რეგიონებთან და მთავრობასთან. მადლიერი ვარ თბილი მიღებისა ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის ძალიან ბევრი მიმართულებით. საქართველოში შვიდი წლისა და შვიდი თვის სამსახურის შემდეგ, სასიამოვნო მოგონებებით ვბრუნდები პოლონეთში. განსაკუთრებით თბილად მომაგონდება ბათუმი და აჭარა, - განაცხადა პოლონეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში მარიუშ მაშკევიჩმა.

„წითელქუდა“ – სპექტაკლი ჰუმანურობასა და მეგობრობაზე

ნანა აბულაძე 577 20 35 90

ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიულ სახელმწიფო თეატრში შარლ პეროს ზღაპრის მიხედვით სპექტაკლის „წითელქუდა“ პრემიერა გაიმართა

რეჟისორმა და მსახიობმა მაია ჩართოლანმა ყველასათვის საყვარელი ზღაპარი ახალი ინტერპრეტაციით წარმოგვიდგინა. პატარებთან ერთად უფროსებიც გვამოგზაურა ბავშვურ სამყაროში და კიდევ ერთხელ დაგვაფიქრა ცხოვრებისეულ გზაზე, რომლის გავლაც გვიწევს ადამიანებს. წითელქუდა ხომ ის მეოცნებე გოგოა, რომელიც დამოუკიდებლად ცდილობს, გაიაროს გზა და მივიდეს მიზნამდე, მაგრამ, როგორც რეალურ ცხოვრებაში ხდება, არაერთი დაბრკოლების გადალახვა მოუწევს. რეჟისორის მიერ ინტერპრირებული „წითელქუდას“ ბოლოც კეთილია, უფრო კეთილიც და ჰუმანურიც. სპექტაკლის ბოლოს წითელქუდა და მისი მეგობრები გადაწყვეტენ, არ მოკლან მგელი, აპატიონ ვერაგული განზრახვები. სპექტაკლი პატარებს ისეთ მნიშვნელოვან თემაზე აფიქრებს, როგორიცაა შურისძიების წყურვილის უკუგდება და პატიების უპირატესობა, რასაც შეუძლია დადებითისკენ შეცვალოს ადამიანი.

სპექტაკლში დასამახსოვრებელი და აღსანიშნავია თითოეული მსახიობის ოსტატობა, მოქმედების დინამიკა, თანამედროვე კოსტიუმები, ჯაზური მუსიკა, იუმორით გაჯერებული დიალოგები და, რაც მთავარია, რეჟისორის მნიშვნელოვანი გადაწყვეტა - სპექტაკლი ყოფილიყო ინტერაქტიული, რამაც, ვფიქრობ, გაამართლა. დარბაზში მჯდომი პატარები კარნახობდნენ მონადირეს, მაგალითად, სად იმალებოდა წითელქუდაზე ჩასაფრებული მგელი. სპექტაკლის ბოლო სცენაში, კითხვაზე, მოეკლათ თუ არა მგელი, აქაც ერთხმად უპასუხეს ბავშვებმა, რომ - არა.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ სპექტაკლის პრემიერა შედგა და „წითელქუდას“ აღნიშნული ვარიანტი დიდხანს დარჩება მაყურებლის მეხსიერებაში. სპექტაკლი ძალიან მომეწონაო, გვითხრა თეატრის პატარა, ერთგულმა მაყურებელმა დათუნა მიქელაძემ და დასძინა, რომ მისთვის ყველაზე საყვარელი პერსონაჟი კეთილი წითელქუდაა, რომელსაც არაერთი კარგი მეგობარი ჰყავს. სპექტაკლით ასევე აღფრთოვანდა ლილე ანანიძე. მან გვითხრა, რომ ხშირად ესწრება სხვადასხვა სპექტაკლს, თუმცა „წითელქუდა“ განსაკუთრებით მოეწონა.

- ძალიან კარგი სპექტაკლი იყო, რომლითაც ჯადოსნურ სამყაროში ვიმოგზაურე. ყველაზე მეტად მონადირე მომეწონა, ძალიან მხიარულია. ბევრი ვიცინეთ მის მოუხერხებლობაზე. მომეწონა, რომ მგელს და ცბიერ მელაკუდას არ გამოუვიდათ წითელქუდას დამარცხება, რადგან მას კეთილი მეგობრები, ტყის უსაყვარლესი ბინადრები დაეხმარნენ. ამ სპექტაკლმა გვაჩვენა, რომ თუ ჭკვიანები ვიქნებით, ვერავინ დაგვამარცხებს, ისევე, როგორც წითელქუდა ვერ დაამარცხა მგელმა. კიდევ ის მომეწონა, რომ ბოლოს მგელი არ მოკლეს. მგონია, შეცდომა რომ გამოვასწოროთ, უნდა გვაპატიონ, - გვითხრა ლილე ანანიძემ.

სპექტაკლის ბოლოს თავისი შთაბეჭდილებები გაგვიზიარეს მსახიობებმაც.

- როგორც მაყურებლის ემოციების მიხედვით დავასკვენი, პრემიერამ ძალიან კარგად ჩაიარა. სპექტაკლის დაწყების პირველივე წუთიდან ვგრძნობდით მაყურებელთა საოცარ ჩართულობას, ერთვებოდნენ ინტერაქციაში, რომელსაც ჩვენ ვთავაზობდით. წითელქუდა ყველასთვის საყვარელი პერსონაჟია, თუმცა რეჟისორთან ერთად ვეცადეთ, რომ ბავშვებისთვის ცოტათი განსხვავებული ვერსია შეგვეთავაზებინა. ჩემი აზრით, სპექტაკლის მთავარი სათქმელი ისაა, რომ ძალიან მნიშვნელოვანია, ვიყოთ გონიერები, რათა დაბრკოლებები შედარებით უფრო მარტივად გადავლახოთ, - აღნიშნა წითელქუდას როლის შემსრულებელმა სალომე დოლიძემ.

- თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ პრემიერამ ძალიან კარგად ჩაიარა. არ შემწყდარა მაყურებლის გულწრფელი ოვაციები, რაც რეჟისორისა და მსახიობების მუშაობის ერთობლივი შედეგია. ყველამ იცის და უყვარს წითელქუდა, თუმცა მოგეხსენებათ, ეს არ ყოფილა კლასიკური ვარიანტი, არამედ - თანამედროვე ინტერპრეტაცია. შევეცადეთ ამ თაობის ენაზე გვეთქვა სათქმელი, გადმოგვეცა გრძნობები, რასაც ადამიანი ცხოვრებაში განიცდის, სიყვარული იქნება ეს, სიძულვილი, მეგობრობა თუ სხვა. სპექტაკლი ბავშვებს აძლევს შესაძლებლობას, აირჩიონ სიკეთე, ან ბოროტება, მაგრამ, საბედნიეროდ, მათ სიკეთე აირჩიეს, როცა სასიკვდილო განაჩენი ააშორეს მგელს. კარგია, დიდი ბრძოლების მიუხედავად, ბოლოს მაინც სიკეთე რომ იმარჯვებს ბოროტებაზე. მინდა კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ვუთხრა რეჟისორს, ჩემს კოლეგებს, ერთობლივად შევძელით, რომ 60 წუთის განმავლობაში არ მოდუნებულიყო მაყურებელი, ჩვენი პატარა მეგობრები, რომლებიც ყოველთვის სიმართლის მხარეს დგანან და გულწრფელად გამოხატავენ თითოეულ ემოციას, - გვითხრა მსახიობმა მერი ნაკაშიძემ (მელია).

ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიულ სახელმწიფო თეატრში მოწვევისთვის, თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელ ირაკლი კიკვაძეს მადლობა გადაუხადა რეჟისორმა მაია ჩართოლანმა. მისივე თქმით, თეატრს არაჩვეულებრივი დასი ჰყავს, მისი წევრები პროფესიონალიზმით, მსახიობური ოსტატობით გამოირჩევიან და ბოლომდე ახერხებენ სათქმელის გადმოცემას.

- დიდი მადლობა თეატრს ჩემი მოწვევისთვის, ასეთი დახვედრისთვის, არაჩვეულებრივი დასისთვის, რომელთანაც მომიწია მუშაობა. მხოლოდ და მხოლოდ მათმა ერთგულად და პროფესიონალურად მუშაობამ შემაძლებინა მოკლე დროში (ერთ თვეში) ამ სპექტაკლის ამ დონეზე მიყვანა. მოგეხსენებათ, „წითელქუდა“ ყველასათვის საყვარელი და ნაცნობია, უბრალოდ, ჩემი სათქმელი იყო ის, რომ აუცილებლად უნდა ვიყოთ გონიერები, რათა ვერავინ მოგვერიოს. მინდოდა, ეს ყველაფერი იუმორით გადმომეცა, რათა ბავშვებისთვის სახალისო ყოფილიყო, დამენახებინა ისიც, რომ უარყოფითი პერსონაჟისგანაც შეიძლება ისწავლო რაღაც და გამოიყენო შენ სასარგებლოდ. სპექტაკლის ჩემეულ ვერსიაში წითელქუდას ვერ ყლაპავს მგელი, ასევე, არ ვკლავთ მგელს. ამით მინდოდა ბავშვებს

იხ. გვ-3 ბ.

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

დღეს პარიზის ზაფხულის ოლიმპიადა იწყება წარმატებები – ჩვენს სპორტსმენებს!

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

დღეს პარიზში ზაფხულის 33-ე ოლიმპიური თამაშები სტარტს ოფიციალურად და საზეიმოდ აიღებს, რომელსაც საფრანგეთის დედაქალაქი 11 აგვისტოს ჩათვლით უმასპინძლებს

ჩვენი ოლიმპიელების მედროშეები ოლიმპიური ჩემპიონები ლაშა ტალახაძე და ნინო სალუქვაძე იქნებიან. პარიზში გამგზავრებამდე ოლიმპიელებმა ოლიმპიური ფიცი დადეს. საზეიმო გახსნის ცერემონია მდინარე სენაზე გაიმართება (ჩვენი დროით - 21 საათსა 30 წუთზე) და იგი პირველი არხის პირდაპირი ეთერით გადაიცემა. აქამდე პარიზმა ოლიმპიადას ორჯერ (1900 და 1924 წლებში) უმასპინძლა. პარიზი გახდება მეორე ქალაქი ლონდონის შემდეგ, სადაც ზაფხულის ოლიმპიადა სამჯერ გაიმართა.

პარიზის ოლიმპიადაზე უსაფრთხოებას ქუჩებში 75 ათასი პოლიციელი, სამხედრო და დაქირავებული პერსონალი დაიცავს.

ამ დღეებში მთელი მსოფლიოს გულშემატკივრების ყურადღება, რა თქმა უნდა, პარიზისკენ იქნება მიპყრობილი. საქართველოდან წარგზავნილი 28 სპორტსმენი ათ სახეობაში იასპარეზებს და შეეცდება მაღალი სინჯის მედლების მოპოვებას. ჩვენი ოლიმპიელების შემადგენლობაში როგორც გამოცდილი, ისე ახალბედა სპორტსმენები იასპარეზებენ. მათგან ყველაზე უფროსი ნინო სალუქვაძეა (ტყვიით სროლა), ვისთვისაც ეს მეათე ოლიმპიადაა, ყველაზე ახალგაზრდა კი 15 წლის ანა ნიუარაძეა (ცურვა, ბატერფლაი, 100 მ).

სასიხარულოა, რომ საქართველოს 28 საუკეთესო სპორტსმენს შორის აჭარის წარმომადგენლებიც არიან: რამაზ ზოიძე (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, 67 კილოგრამი წონითი კატეგორია), ლაშა გობაძე (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, 87 კგ), გიორგი ყუშიტაშვილი (კრივი).

აქამდე აჭარიდან, დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში, ოლიმპიადებზე წარმატებები მოიპოვეს შმაგი დოლიძემ, ირაკლი თურმანიძემ, მუხრან ვახტანგაძემ, მონაწილეთა შორის კი იყვნენ: ხათუნა ნარიმანიძე, რუსლან რუსიძე, ასმათ დიასამიძე, გენადი ჩხაიძე, რამაზ ზოიძე, გურამ ფერსელიძე... ჩვენი კუთხიდან, საქართველოს დამოუკიდებლობამდე, პირველი ოლიმპიური მედალი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში დავით გვანცელაძემ (1964 წელს) მოიპოვა, ტოკიოში კი ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა. გვინდა უფრო ახლოს გაგაცნოთ ისინი, ვინც პარიზულ ოლიმპიადაში აჭარიდან სხვადასხვა სახეობაში მონაწილეობს.

რამაზ ზოიძე, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

რამაზი 28 წლისაა. 2002 წელს ჭიდაობის სექციაში მწვრთნელ მარად არძენაძესთან რომ მივიდა, 20 კილოგრამს იწონიდა. თავდაპირველად, თავისუფალ სახეობაში დაიწყო ვარჯიში. მწვრთნელმა გვითხრა, რომ რამაზი ჭიდაობისთვისაა დაბადებული. ის ბავშვობიდან დაჰყვებოდა ძმას, მარად ზოიძეს (ის ევროპის ჩემპიონია) ჭიდაობაზე და 4 წლიდან მოყოლებული, თავადაც უნდოდა ვარჯიში. ეს ყინი, რომ იტყვიან, „კოჭებში“ ეტყობოდა. თავიდანვე ისეთი მონაცემები ჰქონდა, რომ ყურადღება მიიქცია. ახალშენიდან დადიოდა ბათუმში. ყველა წონით კატეგორიაში ვარჯიშობდა და თანდათან არაერთ ხელშესახებ წარმატებას მიაღწია. ის 23-წლამდელთა შორის მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონია, არაერთხელ გაიმარჯვა საერთაშორისო ტურნირებში და სხვადასხვა სინჯის მედალი დაისაკუთრა.



იგი საქართველოს ჩემპიონია. ყველგან ჭიდაობდა, მათ შორის თურქეთშიც. ხშირად მასზე უფროსებს უგებდა. ყოველთვის ყინიანი იყო, თუ ვინმესთან წააგებდა, მოგვიანებით რევანშს აუცილებლად აიღებდა. არა მარტო თავისუფალ სახეობაში ჭიდაობდა, არამედ კლასიკურშიც. თოვლზეც კი უჭიდავია თურქეთში. ის ყველას ამახსოვრებდა თავს. 2010 წელს ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ჭაბუკებს შორის ევროპის პრიზიორი გახდა და იმ ტურნირზე ყველაზე პატარა იყო, ერთ კვირაში კი მსოფლიო ჩემპიონის ტიტულიც დაისაკუთრა. მერე საქართველოს ჩემპიონობა, როგორც კლასიკურში, ისე თავისუფალშიც, იზეიმა, მაგრამ ჭიდაობის გაგრძელება ბერძნულ-რომაულ სახეობაში არჩია. ამ სახეობაში გახდა ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს ვიცეჩემპიონი. შემდეგ ისევ თავისუფალ ჭიდაობას დაუბრუნდა. მოიგო საქართველოს ჩემპიონატზე და ევროპაზე მესამე ადგილი დაისაკუთრა, მსოფლიოზე ვიცე-ჩემპიონი გახდა. ამით მან დაასრულა ჭაბუკებში გამოსვლა.

საერთო ჯამში, რამაზ ზოიძე არის სამგზის მსოფლიო და ხუთგზის ევროპის ჩემპიონი. 2020-2021 წლების ტოკიოს ოლიმპიადაზე ის მეხუთე ადგილზე გავიდა. ამჟამად რამაზის პირადი მწვრთნელი საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი მარად არძენაძეა.

ლაშა გობაძე, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა



ლაშა გობაძე წარმოშობით ხულოდანაა. მის მოჭიდავედ ჩამოყალიბებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის აწ გარდაცვლილ საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელ ლევან შავაძეს. სწორედ მისი ხელმძღვანელობით მიაღწია ლაშამ მნიშვნელოვან წარმატებებს. მას მოპოვებული აქვს არაერთი მნიშვნელოვანი ჯილდო როგორც 23-წლამდელთა, ახალგაზრდებსა და ჭაბუკებს შორის, ისე დიდებში. ის არის მსოფლიო ჩემპიონი, პრიზიორი, არაერთი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული, ასევე - მეორე და მესამე ადგილოსანი. არის საქართველოს ჩემპიონი და საქართველოს თასის მფლობელი. დასახელებული იყო საქართველოს წლის საუკეთესო სპორტსმენად. მას იმდენი გამარჯვება და საპრიზო ადგილი აქვს სხვადასხვა დროს მოპოვებული, რომ ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. წელს საფრანგეთის გრანპრიზე მეორე ადგილი დაისაკუთრა, შარშან ხორვატიის ქალაქ ზაგრებში ევროპის ჩემპიონატზე მესამე ადგილი მოიპოვა, ასევე, ეგვიპტეში საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული გახდა, პირველი ადგილი აიღო საერთაშორისო ტურნირზე რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში. მისი ამჟამინდელი პირადი მწვრთნელია მინდია შაინიძე.

გიორგი ყუშიტაშვილი, კრივი

დაბადებულია გარდაბანში. 12-13 წლის იქნებოდა, მშობლები საცხოვრებლად რუსეთში რომ გადავიდნენ. იქ დაიწყო ჭიდაობა და პატარა-პატარა გამარჯვებებსაც მიაღწია, თუმცა ხელშესახები გამარჯვება უკვე საქართველოში გადმოსვლის შემდეგ მოიპოვა. მესამე წელია, რაც გიორგი საქართველოში, კერძოდ, ბათუმშია, სადაც ვარჯიში „კრივის აკადემიაში“ დაიწყო. აქ მას პირადი მწვრთნელი ჰყავდა - რამაზ ფალიანი. წარმატებული მოკრივე აჭარის ნაკრებში შეიყვანეს, სადაც გელა და გოჩა აბაშიძეებთან ვარჯიშობდა და დღემდე მათთანაა. მალე მოიპოვა საქართველოს ჩემპიონობა, ხოლო 2023 წელს ევროპის ჩემპიონი გახდა. ამჟამად, საქართველოს ნაკრების წევრია. მწვრთნელი დიდ იმედს ამყარებს გიორგიზე, როგორც შრომისმოყვარე და პასუხისმგებლიან მოკრივეზე. ამჟამად მისი მწვრთნელი გოჩა აბაშიძეა.

ზაზა ჯიბლაძე, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი

ზაზა ბათუმში დაიბადა, დამთავრა ბათუმის მე-14 საჯარო სკოლა. მეხუთე კლასიდან ჭიდაობდა ბერძნულ-რომაულ სახეობაში. მისი პირველი მწვრთნელი ნოდარ ჭანუყვაძე გახლდათ. არის საქართველოს არაერთგზის ჩემპიონი. ჭიდაობას თავი ძალიან ადრე დაანება. როგორც გვითხრა, მოსკოვში შეჯიბრებაზე, სადაც სტუდენტური უნივერსიადა მოიგო, სერიოზულად გაცივდა, რაც ასთმაში გადაიზარდა.

სხვათა შორის, აღნიშნულ უნივერსიადაზე ნახევარფინალში მსოფლიო ჩემპიონს მოუგო (დავიდოვს) ახალგაზრდებში. იძულებული გახდა, ჭიდაობისთვის თავი დაენებებინა. ჩააბარა ფიზკულტურის აკადემიაში და ბათუმში მწვრთნელად დაიწყო მუშაობა გამსახურდიას ქუჩაზე, იმ ტაძრის შენობაში, რომელიც ბოლო წლებია აღადგინეს და ახლა მოქმედია. 2004 წლამდე იქ მუშაობდა. არაერთი წარმატებული სპორტსმენი აღზარდა, მათ შორის ლერი აბულაძე, გურამ ფერსელიძე, რამაზ დევაძე, ომარ ბაკურიძე, დათა ჩხაიძე, გენადი ჩიტაძე, ოთარ ფევაძე... ესენი აჭარის წარმომადგენლები არიან, მაგრამ საქართველოს სხვა რეგიონებიდანაც არაერთი წარმატებული სპორტსმენი ჰყავს აღზრდილი. 2004 წლიდან ზაზა ჯიბლაძე საცხოვრებლად თბილისში გადავიდა. ამჟამად, საქართველოს ნაკრების მწვრთნელია 23-წლამდელთა ნაკრებში (ამ ნაკრებმა სამჯერ - ევროპის და ორჯერ მსოფლიო ჩემპიონატი მოიგო გუნდურში, ასევე, წელს გუნდური მეორე ადგილი აიღეს ბაქოში).

ზაზა ჯიბლაძეს 2006 წელს მადრიდში საერთაშორისო კატეგორიის მსაჯის წოდება მიანიჭეს, ამჟამად კი ოლიმპიური (უმაღლესი) კატეგორიის მსაჯი გახლავთ და ბოლო ცხრა წელია, მაღალი რანგის ტურნირებს მსაჯობს. აჭარიდან პირველია, ვინც ოლიმპიადაზე იმსაჯებს.

ლაშა ტალახაძე და გიორგი ასანიძე

ერთი თვის წინ პლანეტის ყველაზე ძლიერი სპორტსმენი, მსოფლიოს შვიდგზის, ევროპის შვიდგზის, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი ლაშა ტალახაძე, ასევე, კიდევ ორი ძალოსანი - ირაკლი ჩხეიძე და შოთა მიშველიძე ოლიმპიადისთვის ჩაქვის ახალ სპორტის სასახლეში ემზადებოდნენ. ლაშა ტალახაძემ და საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა გიორგი ასანიძემ ჩვენთან საუბარში აღნიშნეს, რომ სათანადოდ მოემზადნენ ოლიმპიადისთვის. ეს ლაშასთვის მესამე ოლიმპიური თამაშებია და სურს ოლიმპიური მედალი გაასამოს. ამჟამად ლაშას ტრავმები შედარებით მოუშუშდა და ის, რა თქმა უნდა, ოლიმპიური ოქროს მედლისთვის იბრძოლებს.

ქეთევან ბოლქვაძე, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ახალი ამბების წამყვანი-რეპორტიორი, სპორტული ჟურნალისტი.

ქეთევან ბოლქვაძე საქართველოდან აკრედიტებულ ჟურნალისტებს შორის აჭარიდან ერთადერთია, ვინც 15 დღის განმავლობაში უშუალოდ მიადევნებს თვალს ოლიმპიურ თამაშებს და აჭარაში გადმოსცემს.

ქეთევანი ყოფილი სპორტსმენია, ის მხატვრული ტანვარჯიშით 20 წელი იყო დაკავებული და არაერთხელ იზეიმა წარმატება.

ქრონიკა

ბათუმის ბულვარი ზაფხულის ტურისტულ სეზონს განახლებული ინფრასტრუქტურით ხვდება. სამუშაოები აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიუვაძემ, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრ ჯაბა ფუტკარაძესთან და ბათუმის მერ არჩილ ჩიქოვანთან ერთად დაათვალიერა. აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, დასკვნით ეტაპზეა საერთაშორისო სტანდარტების სკეიტპარკი, განახლდა სტიქიის შედეგად დაზიანებული ბულვარის პრომენადის ნაწილი, ნაპირსამაგრი სამუშაოები განხორციელდა და მიმდინარე წელსაც გაგრძელდება, ბათუმის ბულვარში ქვიშის ფეხბურთის ახალი სტადიონი აშენდა, ბულვარის ტერიტორიაზე თანამედროვე სტანდარტების ველობილიკი მოეწყო, სანაპირო ზოლზე ადაპტირებული ბილიკები, წყლის შადრევნები განთავსდა, ორ ლოკაციაზე სრულად განახლდა ინფრასტრუქტურა შშმ პირთათვის.

* * *

ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი მოსახლეობასთან შეხვედრებს განაგრძობს. მან მერიის სამსახურების ხელმძღვანელებთან ერთად მოსახლეობისთვის აქტუალური საკითხები და მათი გადაჭრის გზები განიხილა. მოქალაქეებმა, ძირითადად, ჯანდაცვისა და სოციალურ პროექტებთან დაკავშირებით დასვეს შეკითხვები. ასევე, გაიცა რეკომენდაციები ინფრასტრუქტურის მიმართულებით. არჩილ ჩიქოვანის განცხადებით, მოქალაქეებთან შეხვედრები აქტიურად გაგრძელდება და მოსახლეობისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე დროული რეაგირება მოხდება. ბათუმის მერთან შეხვედრის ჩასანიშნად დარეკეთ - 0422 27 01 19.

* * *

ზურაბ გორგილაძის ქუჩაზე სპორტული მოედნის რეკონსტრუქცია-აღდგენა მიმდინარეობს. რეაბილიტაციის ფარგლებში იცვლება კალათბურთის ფარები და ფეხბურთის კარები. ძველი ლითონის კონსტრუქციები შეიცვალა ახლით. დამონტაჟდა ლითონის მავთულბადე და დაიგო ხელოვნური, მწვანე და კაუჩუკის საფარი. ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა სპორტული მოედნები ბათუმის საკრებულის თავმჯდომარე რამაზ ჯინჭარაძესთან და შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერა. მუნიციპალური სერვისების სააგენტომ მიმდინარე წელს 23 სპორტული მოედნის რეკონსტრუქცია განახორციელა. წლის ბოლომდე დამატებით 16 სპორტული მოედნის რეაბილიტაცია იგეგმება.

* * *

აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს „ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფის“ პროგრამის ფარგლებში, უსაფრთხო საცხოვრისი დამატებით შვიდმა ეკომიგრანტმა ოჯახმა შეიძინა. საკუთრების რეგისტრაციის პროცედურა ბათუმის იუსტიციის სახლში გაიმართა. მიმდინარე წელს, სამინისტროს პროგრამით, ამ დრომდე 99-მა ოჯახმა ისარგებლა, წლის განმავლობაში გათვალისწინებულია თანადაფინანსებით 120 ოჯახისთვის უსაფრთხო საცხოვრებლის შეძენა. 2024 წელს გაიზარდა პროგრამის ბიუჯეტი და 5 016 840 ლარი შეადგინა. შესაბამისად, გაიზარდა თითოეულ ეკომიგრანტ ოჯახზე სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსების წილი 50 000 ლარამდე. პროგრამაში ჩართვა შეუძლიათ ოჯახებს, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან ეკომიგრანტთა მუდმივად განახლებად ერთიან ელექტრონულ ბაზაში და მინიჭებული აქვთ პრიორიტეტულობის ქულა. პროგრამაში ჩართვისთვის ბენეფიციარმა უნდა მიმართოს შესაბამის თვითმმართველ ერთეულს დაზიანებული საცხოვრებელი ფართის მდებარეობის მიხედვით.

იხ. მე-5 გვ.

შესაძლო ტერორისტული აქტი და იგნორირებული პრეზიდენტი...

თამარ ლამპარაძე 595 85 80 06

ამ კვირაში ცნობილი გახდა, რომ ბიძინა ივანიშვილისა და „ქართული ოცნების“ წევრების მიმართ იგეგმებოდა შესაძლო ტერორისტული აქტი, რაც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმაც დაადასტურა

როგორც სუსის ინფორმაციაში ვკითხულობთ, მიმდინარეობს გამოძიება ტერორისტული აქტის მომზადების და სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად შეთქმულების ფაქტზე.

„სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური იძიებს უკრაინაში მყოფი, საქართველოს ხელისუფლების ყოფილი მაღალჩინოსნებისა და ძალოვანი უწყებების ყოფილი თანამშრომლების ორგანიზებით და დაფინანსებით, საქართველოში დანაშაულებრივი ქმედებების, მათ შორის, პარტია „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარის ბიძინა ივანიშვილის მკვლელობის მომზადების ფაქტებს. ხსენებული დანაშაულებრივი ქმედებების მიზანია, ქვეყანაში არეულობის მოწყობის და ხელისუფლების დასუსტების ფონზე, დესტრუქციული ძალების მიერ სახელმწიფო ხელისუფლების ძალადობრივი გზით დამხობა“, - წერია სუსის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ვინ შეუკვეთა და ამზადებს ბიძინა ივანიშვილის ლიკვიდაციას, სახელები და გვარები, ჯერ უცნობია. საქმე გრიფირებულია და სუსი მეტ დეტალს არ ასაჯაროებს. რაც შეეხება საგამოძიებო მოქმედებებს, აქტიურად მიმდინარეობს. გამოკითხულთა შორის არიან ბიზნესმენი ელიზბარ რაქვიაშვილი, უკრაინაში მებრძოლი ნადიმ ხმალაძე, ასევე, უკრაინაში მებრძოლი კონსტანტინე ჯღამაია. იგეგმება სხვა მებრძოლების გამოკითხვაც.

ფაქტს გამოეხმაურა პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე და აღნიშნა, რომ ტერაქტის გეგმა გასაკვირი არც იყო.

„გამოძიების თანახმად, ამ ყველაფერში ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსნების როლი იკვეთება, იმ ადამიანების, რომლებიც დღეს ფიზიკურად უკრაინაში იმყოფებიან. გასაკვირი არ არის, რომ პირველ რიგში, ჩვენი ქვეყნის არაკეთილმოსურნეების, სამიზნე ბიძინა ივანიშვილია, რადგან, პირველ რიგში, ბიძინა ივანიშვილი არის ამ ქვეყანაში მშვიდობისა და განვითარების გარანტი“, - აღნიშნა ირაკლი კობახიძემ.

„ქართული ოცნების“ დეპუტატ დავით მათიკაშვილის განცხადებით, მარცხისთვის განწირული რადიკალური ოპოზიცია ყველაფერზეა წამსვლელი, მათ შორის, კრიმინალისა და ტერორისტული აქტების მეშვეობით სახელმწიფოს გადატრიალებაზე. მან, ასევე, აღნიშნა, რომ საკითხზე გამოძიების მიმდინარეობას რადიკალური ოპოზიცია, საქმის ფიგურანტები და მათი ადვოკატები მალავდნენ.

ამ ამბავმა აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძეს რამდენიმე თვის წინანდელი, პრემიერ ირაკლი კობახიძის მიმართ განხორციელებული ზეწოლა გაახსენა.

„იცით, რომ ეს კონკრეტული ქმედება არ იყო ბოლო, რომელიც ამ შემთხვევაში გამოვლინდა. იცით, რომ რამდენიმე თვის წინ პირდაპირი ზეწოლა, პირდაპირი შანტაჟი განხორციელდა პრემიერ ირაკლი კობახიძის მიმართ. რა თქმა უნდა, ეს არის იმ საერთო ჯაჭვის გაგრძელება, რომელიც არ ასვენებთ ამ ქვეყნის არაკეთილმოსურნეებს. და, რა თქმა უნდა, ის, რომ 2012 წელს ბატონი ბიძინა ივანიშვილის მეთაურობით, „ნაცმოძრაობის“ დამარცხებით, გარე ძალებს ქვეყანაში ჩამოეშალათ მათ მიერ წლების განმავლობაში მართული მოკლე აგენტურული დაჯგუფებები, რა თქმა უნდა, ისინი არ აძლევენ ქვეყანას დამშვიდების საშუალებას“, - განაცხადა თორნიკე რიჟვაძემ.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის განცხადებას ოპოზიცია არადამჯერებლად მიიჩნევს და აცხადებს, რომ „ქართული ოცნება“ სხვა მნიშვნელოვანი საკითხების გადაფარვას ცდილობს. ასევე, მათი თქმით, გამოძიების მთავარი მიზანი ხალხის დაშინების გზით „ქართული ოცნების“ ძალაუფლების შენარჩუნებაა.

„არც ერთი გამოძიება, რომელიც დაიწყო 2014 თუ 2015 წლიდან დღემდე არ ყოფილა ფაქტებით დადასტურებული და მთელი ეს შეთქმულებების თეორია, რომელიც კრემლის დაზვერვის სამსახურების სცენარების გამეორებაა, ემსახურება ივანიშვილის ძალაუფლების შენარჩუნებას მოსახლეობის დაშინების გზით“, - აცხადებს ოპოზიციონერი დეპუტატი თეონა აქუბარდია.

„ერთიანობის“ ლიდერი პაატა მანჯგალაძე კი ბიძინა ივანიშვილს პოლიტიკურ რეიტინგს უწუნებს.

„ბიძინა ივანიშვილს მოქმედ პოლიტიკოსებში აქვს ყველაზე დაბალი რეიტინგი და ვის რაში უნდა სჭირდებოდეს მის წინააღმდეგ რაიმე ღონისძიების გატარება. ტრამპის ტერაქტის შემდეგ ძალიან მოდური გახდა ეს მცდელობა საქართველოში და იფიქრეს, რომ ამით ბიძინა ივანიშვილის რეიტინგიც აიწევდა“, - აღნიშნა მანჯგალაძემ.

მიმდინარე კვირაში პარლამენტმა „ამნისტიის კანონპროექტი“ პირველი მოსმენით დაამტკიცა. მას მხარი 82-მა დეპუტატმა დაუჭირა.

როგორც პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე რატი იონათამიშვილმა აღნიშნა, ამნისტია 2024 წლის 1-ელ ივლისამდე ჩადენილ მთელ რიგ დანაშაულებს შეეხება.

იონათამიშვილის განმარტებით, ამნისტია არ შეეხება მკვლელობისთვის ნასამართლევ პირებს, ნარკოტიკალიზატორებს, ყაჩაღობას, ტერორიზმს, სექსუალურ, კორუფციულ და სამოხელეო დანაშაულებს, ქურდულ სამყაროს, კონვენციურ დანაშაულებს, ტრეფიკინგს და სხვა მძიმე და განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულებს, თუმცა კანონპროექტში გარკვეულ ცვლილებებს ითხოვენ მხარდამჭერები ოპოზიციიდან და ასევე ის დეპუტატები, რომლებიც განხილვას საერთოდ არ ესწრებოდნენ. კანონპროექტთან დაკავშირებით საკუთარი ვერსია ჰქონდა პარტია „გირჩს“, რომელიც დაიწუნეს უმრავლესობაში.

ამნისტიის კანონპროექტი ყველა პარტიამ საკუთარი საზომით შეაფასა, ამას „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი პეტრე ცისკარიშვილის პოზიციაც ადასტურებს. მისი თქმით, პირველი, ვისაც, რეალურად, ამნისტია უნდა შეეხოს, მიხეილ სააკაშვილია.

ჩვენ ვკითხეთ აზრი აღნიშნულ კანონპროექტთან დაკავშირებით „ლელოს“ პოლიტსაბჭოს წევრს, ბათუმის ორგანიზაციის ხელმძღვანელ გენო თებიძეს.

- ამნისტია არის ჰუმანური აქტი და ჩვენი მიდგომა არის ადეკვატური. თუმცა ის უნდა იყოს მორგებული როგორც პატიმართა, ასევე, საზოგადოების ინტერესებს და არ უნდა იქცეს პოლიტიკურ იარაღად. სამწუხაროდ, „ქართულმა ოცნებამ“ მიგვაჩვია, რომ პატიმრები, შშმ პირები და სოციალურად დაუცველები ახსენდება მხოლოდ მიახლოებული არჩევნების წინ. ამჟამადაც ეს გადაწყვეტილება, სამწუხაროდ, შეფუთულია პოლიტიკურად და ოცნების მზაკვრული ჩანაფიქრით, რათა გამოიყენოს ამ ხალხის მძიმე მდგომარეობა სათავისოდ, მით უმეტეს, არცერთი მუხლი არ ითვალისწინებს პოლიტპატიმრებისა და რუსული კანონის წინააღმდეგ აქციებზე დაპატიმრებულთა და დაჯარიმებულთა ამნისტიას.

კანონპროექტს ეხმაურება „სტრატეგია აღმაშენებლის“ აჭარის ორგანიზაციის ერთ-ერთი ლიდერი ლუკა ფუტკარაძეც.

- ამნისტიის კანონპროექტი თავიდან, თებერვალში, საპარლამენტო პარტია „გირჩმა“ დაარეგისტრირა, რომელსაც მხარს სხვა ოპოზიციური ჯგუფებიც უჭერდნენ, მათ შორის, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „სტრატეგია აღმაშენებელი“, „მოქალაქეები“ და დამოუკიდებელი დეპუტატები. კანონპროექტის მიხედვით, ამნისტია პატიმართა დიდ ნაწილს უნდა შეხებოდა, გარდა იმ ადამიანებისა, რომლებმაც დანაშაული არასრულწლოვანთა წინააღმდეგ ჩაიდინეს, თუმცა მმართველმა პარტიამ გადაწყვიტა, ამნისტიის საკუთარი ვერსია შეემუშავებინა. მმართველი პარტია აპირებს, აღნიშნული კანონპროექტი გამოიყენოს საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე და ეს მათ ახლა სჭირდებათ საარჩევნოდ, მოსახლეობის დასაშინებლად, დამატებითი ხმებისთვის და საარჩევნო უბნებზე ძალადობისთვის, ასევე, სხვადასხვა უკანონო საქმეებისთვის, ამნისტიის გამოყენებით პატიმრები მიიღებენ თავისუფლებას, ხოლო ხელისუფლება - დამატებით ძალას არჩევნებში.

პარლამენტი პროექტს საშემოდგომო სესიაზე დაამტკიცებს.

პოლიტიკური კვირის აქტიურობას არც საქართველოს პრეზიდენტი, სალომე ზურაბიშვილი ჩამორჩენია.

თბილისის საქალაქო სასამართლომ საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად კახა წიქარიშვილის დანიშვნის შესახებ ამა წლის 22 ივლისს შეაჩერა.

ამას გარდა, საქართველოს პრეზიდენტს ჩამოერთვა ახალი კონკურსის ჩატარებისა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხვა ახალი წევრის დანიშვნის უფლება. აღნიშნულ ქმედებას „პირდაპირი“ და „უხეში“ ჩარევა უწოდა პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანმა გიორგი მსხილაძემ.

სასამართლოს გადაწყვეტილებას მოჰყვა გამოხმაურებები, მათ შორის თავად კახა წიქარიშვილისგან.

„არ მგონია, რომ ეს მარტო კონკრეტული კონკურსანტის და მართლმსაჯულების ურთიერთქმედება იყოს. ვფიქრობ, ეს არის სისტემის რეაქცია ჩემს დანიშვნაზე და სისტემა იღებს ზომას, რომ მე არ გავხდე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი“, - განაცხადა წიქარიშვილმა.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრ დავით მათიკაშვილის შეფასებით, ხელისუფლება და სასამართლო ცალ-ცალკე მდგომი ორგანოებია.

„პრეზიდენტის უფლება არის პრეზიდენტის უფლება. სასამართლო დამოუკიდებლად წყვეტს მასთან დაკავშირებულ საკითხებს, რადგან სასამართლო წარმოადგენს ხელისუფლების დამოუკიდებელ შტოს. რადიკალური ოპოზიციის მიერ კონტროლირებად მედიას ძალიან გინდათ, გააშუქოთ სცენა, თუ როგორ ერევა ხელისუფლება სასამართლოს საქმეში. ხელისუფლება არ ერევა სასამართლოს საქმეებში. სასამართლოს გააჩნია თავისი დღის წესრიგი და ის თავად წყვეტს, ვინ დაინიშნოს თუ არ დაინიშნოს კონკრეტულ თანამდებობებზე“ - აღნიშნა მათიკაშვილმა.

რაც შეეხება ოპოზიციურ სპექტრს, „ლელო საქართველოსთვის“ წევრი ანა ნაცვლიშვილი მიიჩნევს, რომ ეს გადაწყვეტილება უსამართლოა.

„სასამართლომ ჩაიდინა სამართლებრივი აბსურდი - გააუქმა საქართველოს პრეზიდენტის კონსტიტუციით გარანტირებული დისკრეციული უფლებამოსილება. ვერ იპოვით ამ ქვეყანაში ერთ კვალიფიციურ იურისტს მაინც, ვინც იტყვის, რომ ეს უფლებამოსილება სასამართლოს ჰქონდა. სასამართლომ გუშინ გააუქმა ამ ქვეყნის კონსტიტუცია და რატომ აკეთებს ამას? იმიტომ, რომ კლანი იყოს კომფორტში და საზოგადოების თვალი და ყური არ შევიდეს სასამართლო სისტემაში და არ მოგაწოდოთ თქვენ, საზოგადოებას, ამ ქვეყნის მოქალაქეებს ინფორმაცია იმის შესახებ, რა უსამართლობები და რა დანაშაულები ხდება სასამართლო სისტემაში“, - განაცხადა ნაცვლიშვილმა.

„წითელქუდა“ – სპექტაკლი ჰუმანურობასა და მეგობრობაზე

პირველი გვერდიდან

ჰუმანიზმის უპირატესობა ეგრძნოთ. პატიებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. პატიებამ შეიძლება ძალიან ბევრი ადამიანის ცხოვრება შეცვალოს უკეთესობისკენ. ამიტომ, მესიჯს, რომელიც ბავშვებისკენ გავაგზავნე, იმედი მაქვს, სწორად მიიღებენ და დაფიქრდებიან ამ ყველაფერზე. ჩემთვის, ასევე, მთავარი იყო, სპექტაკლში ბოლომდე ჩართული ყოფილიყვნენ პატარები და თუ ეს გამომივიდა, ძალიან ბედნიერი ვარ, - თქვა ჩვენთან საუბარში რეჟისორმა.

ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელ ირაკლი კიკვაძის თქმით, თეატრში ყოველთვის ცდილობენ საინტერესო რეპერტუარი შესთავაზონ მაყურებელს, გაითვალისწინონ როგორც პატარების, ასევე მოზარდების გემოვნება და ინტერესები.

- „წითელქუდა“ ის ზღაპარია, რომელიც ყველაზე მეტად ასოცირდება ბავშვობასთან, ყველაზე მეტად გვიყვარს. გადავწყვიტე, ეს სპექტაკლი ჩვენს თეატრშიც დადგმულიყო. მინდოდა სპექტაკლი ცოცხალ პლანში ყოფილიყო და მსახიობები მაქსიმალურად წარმოჩენილიყვნენ. პრემიერა ანშლაგით შედგა, მხურვალე აპლოდისმენტები და გულწრფელი შეფასებები დავიმსახურეთ, რაც იმას ნიშნავს, რომ მიზანი მიღწეულია, რისთვისაც მადლობას ვუხდი რეჟისორს, სპექტაკლში ჩართულ თითოეულ მსახიობს და, რაც მთავარია, ჩვენს ერთგულ მაყურებელს. არაერთ საინტერესო სიახლეს ვგეგმავთ, რასაც ეტაპობრივად გავაცნობთ საზოგადოებას, - გვითხრა ირაკლი კიკვაძემ.

თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა დასძინა, რომ შემდეგ სპექტაკლს რეჟისორი ნიკა საბაშვილი დადგამს, რაც ერთ-ერთი ყველაზე დიდი ექსპერიმენტი და ინოვაციური იქნება ამ თეატრის სცენაზე.

ეს არჩევნები – რეფერენდუმის ნიშანსვეტით

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

წინასაარჩევნო ციებ-ცხელება დაიწყო. არაოფიციალურად გაიხსნა საარჩევნო მარათონი, შეიქმნა რამდენიმე ოპოზიციური ცენტრი, რაც, ერთი მხრივ, ოპოზიციის გააქტიურებას ცხადყოფს, მეორე მხრივ კი დაქსაქსულობას

*ექსპერტთა თქმით, ერთიანი, მძლავრი ოპოზიციური ცენტრის შექმნა უფრო მომგებიანი და ანგარიშგასაწევი იქნებოდა, მაგრამ პარტიათა ლიდერებს უძნელდებათ პირველობის დათმობა, თითოეულს სურს, მისი ქოლგის ქვეშ გაერთიანება. ცხადია, მმართველი გუნდიც აქტიურობს, მოსახლეობას მნიშვნელოვანი რეფორმების გატარებას ჰპირდება და არჩევნებში გამარჯვებასაც აანონსებს. აღსანიშნავია ისიც, რომ დასავლეთის კრიტიკა საქართველოს ხელისუფლების მიმართ მატულობს. ეს, გარკვეულწილად, განპირობებულია „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის მიღებით. ისმის კითხვა - როგორია დღეს რეალობა, რომელშიც ვცხოვრობთ? ამაზე, ცხადია, ოპოზიციასა და მმართველ პარტიას სხვადასხვა მოსაზრება აქვს. ამჯერად ამაზე „დროას“ აჭარის ორგანიზაციის ხელმძღვანელ **ბენრი დოლიძეს** ვესაუბრეთ.*

- როგორ აფასებთ ქვეყანაში არსებულ ვითარებას, რა ასპექტებს გამოჰყოფთ?

- ბევრჯერ გვსმენია პოლიტიკოსებისგან გაზვიადებულად, რომ გადამწყვეტი ყამი დგას, ქვეყანა უნდა გადავარჩინოთ. ვფიქრობ, ამჟამად, ყოველგვარი გაზვიადების გარეშე, საკმაოდ ღრმა კრიზისშია შესული ჩვენი ქვეყანა და ამის ინდიკატორი ახალგაზრდები, ანუ შრომისუნარიანი ადამიანები არიან, რომელთა ნაკადი ყოველდღიურად გაედინება საქართველოდან უპერსპექტივობის გამო. აქ საკუთარ მომავალს, უსაფრთხო გარემოს ვერ ხედავენ. შესაბამისად, თუ ასე გაგრძელდა, სავარაუდოა, რომ დაახლოებით ათ წელიწადში შესაძლოა, ჩვენს ქვეყანაში საქართველოს მოქალაქეები უმცირესობაში აღმოვჩნდეთ. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, სახელმწიფო გამოვიყვანოთ ეკონომიკური, სამართლებრივი, პოლიტიკური და დემოგრაფიული კრიზისებიდან. ამას ვერავითარ შემთხვევაში ვერ შევძლებთ, თუკი ოქტომბერში ვერ გავისტუმრებთ ხელისუფლებიდან „ქართულ ოცნებას“.

- მმართველი პარტიის წევრები აცხადებენ, რომ ოპოზიციის ბრალდებები უსაფუძვლოა და ოპოზიციური სპექტრის მიზანი ქვეყანაში რევოლუციის მოწყობაა...

- „ქართული ოცნების“ წევრებმა შეხედონ ბენზინის ფასს, პროდუქტების ფასებს მაღაზიებში, ვალუტის კურსს და ასევე - აეროპორტებში ქართველების რიგს, რომლებიც ღირსეული ცხოვრების, ღირსეული ანაზღაურების, თავისი შვილების მომავლისთვის ყოველდღიურად ევროპასა და ამერიკაში მიდიან სამუშაოდ და საცხოვრებლად... სამწუხაროდ, პოზიტიურისკენ არაფერი შეცვლილა ამ ქვეყანაში. „ქართულმა ოცნებამ“ ჩაიბარა ოკუპირებული სახელმწიფო და გვაქვს ოკუპირებული სახელმწიფო, პირიქით, უფრო მეტი მავთულხლართი გააბეს შიდა ქართლში, მეტი სოფელი მიითვისა რუსეთმა, არცერთი უდიდესი, მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტიც არ დაწყებულა ისე, რომ მმართველ გუნდს თავად მოება თავი. არის მცირე ინფრასტრუქტურული წინსვლები, მაგრამ ეს ყველაფერი ან ევროკავშირის დაფინანსებულია, ან აზიის განვითარების ბანკის მიერ. ვერ ვიხსენებ ძალიან დიდ, მასშტაბურ, გრანდიოზულ პროექტს, რომელიც „ქართული ოცნების“ მიერ ჩაფიქრებული და განხორციელებული იყოს. შესაბამისად, ამ ხნის განმავლობაში მმართველმა ძალამ ვერ მოახერხა ერთი ნაბიჯითაც წინ წაეწია ჩვენი ქვეყანა და ის უმნიშვნელოვანესი პროცესი, რასაც ევროინტეგრაცია ჰქვია, რაც დავიმსახურეთ და მოვიპოვეთ. მმართველ პარტიას ეკლად ესობა გულზე, მის რუსულ საქმეებს არ ესადაგება და ცდილობს, რამენაირად ჩამოგვაშოროს ევროპულ გზას და დაგვაკარგინოს ეს მონაპოვარი.

- ამას წინათ თქვენმა პარტიამ („დროა“) „გირჩი - მეტი თავისუფლებასა“ და „ახალთან“ ერთად პლატფორმა შექმნა...

- საზოგადოებრივი დაკვეთა არის ერთიანობა. ამ ეტაპზე, როდესაც ქვეყნისთვის ეგზისტენციალური საკითხი დგას, არ არის აზრთა სხვაობის და ერთმანეთთან ჯიბრის დრო. ახლა ქვეყანაში მნიშვნელოვანი პროცესი მიდის და რაც შეიძლება მეტმა პარტიამ უნდა შეძლოს, დათმოს საკუთარი ეგო და განსხვავებული ხედვების მიუხედავად, ითანამშრომლოს ოპოზიციურ პარტიებთან, რომლებიც მეტ-ნაკლებად მის იდეოლოგიასთანაა ახლოს. შესაბამისად, ჩვენ - სამმა პარტიამ („დროა“, „გირჩი - მეტი თავისუფლება“ და „ახალი“) ეს შევძელით და საზოგადოების დაკვეთას ვუპასუხეთ იმით, რომ დავთმეთ საკუთარი პერსონალური და პარტიული ამბიციები, რათა ნაკლები გადაუნაწილებელი მანდატი შეხვდეს „ქართულ ოცნებას“ არჩევნების შედეგად.

- არჩევნებზე რა შანსი აქვს თქვენს პლატფორმას და რატომ არ შეიქმნა ერთიანი ოპოზიციური ცენტრი?

- არ მიყვარს, პოლიტიკოსები საკუთარ პარტიას რომ აქებენ. ეს საკუთარი თავის ქების ტოლფასია, ამომრჩეველმა შეაფასოს, როგორები ვართ, თუმცა, რა თქმა უნდა, მაქვს პროგნოზი, რომ ერთ-ერთ გადამწყვეტ როლს ივანიშვილის გასტუმრებაში შეასრულებს ჩვენი პარტია, სხვა პარტიებთან ერთად, ბუნებრივია. ამაში ვარ დარწმუნებული, რის საფუძველსაც მაძლევს იმ ადამიანების საარჩევნო, პოლიტიკური, პროფესიული გამოცდილება, რომლებმაც თავი მოიყარეს ამ პლატფორმაში - „ახალის“, „გირჩი - მეტი თავისუფლები“ და „დროას“ სახით.

- ექსპერტები აცხადებენ, რომ თუ ოპოზიცია ერთიანი ფრონტით არ გავა არჩევნებზე, ხელისუფლებას გაუადვილდება არჩევნების მოგება, რას ფიქრობთ?

- ნაწილობრივ მართლები არიან. დიდი პლუსი აქვს მსხვილ ოპოზიციურ გაერთიანებას, ანუ ერთიანი ფლანგით შეტევას ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ პროდასავლური პარტიების მხრიდან, თუმცა ამას აქვს ძალიან დიდი მინუსებიც და რისკებიც. ჩვენ ვიცით, რომ ქართველი ამომრჩეველი არ ხელმძღვანელობს მხოლოდ და მხოლოდ გარკვეული პარტიის სიმპათიით. საქართველოში არის ძალიან დიდი პროცენტი ამომრჩევლებისა, რომლებიც ხმებს აძლევენ არა იმის გამო, რომ რომელიმე პარტია მოსწონთ. არამედ იმის წინააღმდეგ, ვინც არ მოსწონთ. შესაბამისად, ამ შემთხვევაში ჩვენ დავკარგავდით ძალიან ბევრ ამომრჩეველს, რომელსაც, მაგალითად, არ უნდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ შემოხაზვა. არიან ისეთებიც, ვინც არც „ნაცმოძრაობას“ და არც „ქართულ ოცნებას“ არ შემოხაზავს და ასეთი ამომრჩეველი დარჩებოდა სახლში. ბუნებრივია, „ნაცმოძრაობას“ ჰყავს ამომრჩეველი, რომელიც არ შემოხაზავს სხვა პარტიის ლიდერებს, ვიღაცას არ მოსწონს „გირჩი“, ვიღაცას - „დროა“ და „ლელო“. ვფიქრობ, არჩევანის საშუალება არის ყველაზე სწორი და ჯანსაღი გადაწყვეტილება. ხელოვნურ ერთობას სჯობია ჯანსაღი კონკურენცია, რა თქმა უნდა, გარკვეულ საკითხებზე თანამშრომლობა, მაგრამ მაინც არჩევანის უფლება ამომრჩევლისთვის, ანუ კონკურენცია მნიშვნელოვანია.

- ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ „ქართული ოცნება“ კიდევ 12 წელი აპირებს ხელისუფლებაში ყოფნას...

- არაჯანსაღი და არადემოკრატიულია ნებისმიერი პარტიის ამბიცია და სურვილი, ხელისუფლება შეინარჩუნოს 25 წლის განმავლობაში, ანუ შეინარჩუნოს ხუთი ვადით. ნორმალურ ქვეყანაში ასეთ განცხადებას პრემიერ-მინისტრი ვერ გაბედავდა. კობახიძის ზემოაღნიშნული განცხადება ნიშანია იმისა, რომ მათ აქვთ განაცხადი, შექმნან ავტორიტარული რეჟიმი, სხვა შემთხვევაში არ არსებობს პრეცედენტი, დემოკრატიულმა საზოგადოებამ 25 წლის განმავლობაში ერთი და იგივე ხელისუფლება მოიყვანოს ქვეყნის სათავეში.

- ცხადია, გვერდს ვერ ავუვლით დასავლეთის გზავნილებს...

- დასავლეთისთვის საქართველო, ისევე, როგორც საქართველოსთვის - დასავლეთი, სტრატეგიული პარტნიორი, სტრატეგიული პლაცდარმია. მისთვის უმნიშვნელოვანესია აღმოსავლეთით გაფართოება. შესაბამისად, დასავლელი პარტნიორებისთვისაც არ არის მარტივი შესაგუებელი „ქართული ოცნების“ დღევანდელი პოლიტიკა. ძალიან დიდი რესურსი აქვს ჩადებული ევროკავშირს საქართველოში ბიზნესის, ინფრასტრუქტურის, დემოკრატიული გარემოს განვითარებისთვის და არ არის მარტივი, ამდენწლიანი შრომა, დახმარება, თანადგომა ერთი ხელის მოსმით ჩაიყაროს წყალში. შესაბამისად, მათი განცხადებები ნიშანია იმისა, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლება და დღევანდელი პოლიტიკა არის წითელი ხაზი დასავლეთისთვის. მმართველი პარტიის სულისკვეთება, პროპაგანდა, იდეოლოგია და გადადგმული ნაბიჯები არ გვაახლოებს ევროპასთან, რასაც ძალიან კარგად ხედავენ ჩვენი დასავლელი პარტნიორები და განსხვავებით არადემოკრატიული რუსეთისა და ჩინეთისგან, რომლებიც ლამის სტრატეგიულ პარტნიორებად განიხილოს მმართველმა პარტიამ, გვეუბნება, რომ თუ გვინდა განვითარება, მათთან თანაცხოვრება, მაშინ უნდა შევქმნათ დემოკრატიული მოწყობის სახელმწიფო. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი გვაფრთხილებენ, რომ ჩვენ შეიძლება დავრჩეთ დიდი ხნის ნანატრი ევროინტეგრაციის გარეშე.

- მმართველი პარტიის წევრები აცხადებენ, რომ დასავლური გზავნილები არც ისე საგანგაშოა, თანაც დასძენენ, საქართველო ევროკავშირის წევრი 2030 წელს გახდებაო.

- ბუნებრივია, მმართველი პარტიისთვის განცხადება დასავლეთის გზავნილებთან დაკავშირებით, ისინი შეეცდებიან, პროპაგანდით გადაფარონ ეს გზავნილები, თითქოს გლობალური ომის პარტია ან არაკეთილმოსურნე გარკვეული ინდივიდები აკეთებენ „ქართული ოცნების“ საწინააღმდეგო განცხადებებს ევროპაში. არადა, თვალსაჩინოა, რომ ყველა ჩვენი პარტნიორი, რომელიც წლების განმავლობაში ლობირებდა საქართველოს ევროინტეგრაციას, ნატოში გაწევრიანებას, შეშფოთებულია დღევანდელი მდგომარეობით. ვისაც მართლა საქმით აქვს დამტკიცებული ჩვენი მეგობრობა, გვაფრთხილებენ, რომ „ქართული ოცნება“ მიგვაქანებს რუსეთისკენ. შესაბამისად, რაც უნდა იძახოს მმართველმა გუნდმა, რომ ეს ყველაფერი ტყუილია, ეს იქნება პროპაგანდა, რადგან ნათელია დასავლეთის მესიჯბოქსი. ისინი უკვე დიპლომატიურ ენასაც აღარ იყენებენ, პირდაპირი კრიტიკით გამოდიან ევროპარლამენტში და სხვა სტრუქტურებში საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ. უკვე მართლა დგას საფრთხე, რომ შეიძლება შეგვიჩერონ ევროინტეგრაციის პროცესი... ხელისუფლების დაპირება, რომ 2030 წელს გავხდებით ევროკავშირის წევრი, რომ ერთ წელიწადში უკრაინის ომი დასრულდება, არის ტყუილი და გათვლილია მოკლევადიან ეფექტზე, რადგან მათ აქვთ მხოლოდ და მხოლოდ იმის სურვილი, რომ მოახერხონ „დამკაში“ გაძვრომა და ოქტომბერში ისევ ხელისუფლებაში დარჩენა, შემდეგ კი ანტიდასავლური ნარატივის გაგრძელება.

- კვლავ არჩევნებს დავუბრუნდეთ: ოპოზიცია რამდენად საფუძველიანად უხსნის მოსახლეობას არჩევნებზე მისვლის აუცილებლობას?

- აუცილებელია არა მხოლოდ ის, რომ მეტად გააქტიურდნენ ოპოზიციური პარტიები, არამედ საღად მოაზროვნე ადამიანებმა მის ირგვლივ ყველა ადამიანს შთააგონონ თითოეული ინდივიდის როლი არჩევნების პროცესში. თითოეული ხმა შესაძლებელია გადამწყვეტი იყოს ჩვენი ქვეყნის ყოფნა-არყოფნისთვის. ამიტომ ნებისმიერი გონიერი, კრიტიკულად მოაზროვნე მოქალაქე ვალდებულია, რომ ყველას შეახსენოს და გაუწიოს კონსულტაცია, როგორ, რანაირად, რა ფორმით უნდა მივიდეთ არჩევნებზე, რა უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ საარჩევნო პროცესი ნორმალურად, დემოკრატიულად წარიმართოს. იმედი მაქვს, უფრო მეტად გააქტიურდებიან ოპოზიციური პარტიები. ძალთა კონსოლიდაცია ამის პოზიტიურ მოლოდინს მიჩენს, თუმცა ეს არ არის საკმარისი, საჭიროა თითოეულ რეგიონში, მუნიციპალიტეტში დარაზმული მუშაობა, თითოეულ კარზე დაკაკუნება და ყველა ამომრჩევლის ინფორმირება თუნდაც ახალი ტექნოლოგიებით ჩასატარებელ არჩევნებზე, ანუ ტექნიკური დეტალების გაცნობა მოსახლეობისთვის.

- ყველა პოლიტიკური ძალა 2024 წლის არჩევნებზე საკუთარ გამარჯვებაზე ლაპარაკობს...

- ჩვეულებრივი მოვლენაა, რომ ყველა პოლიტიკურმა პარტიამ ისაუბროს საკუთარ უპირატესობაზე. ეს ასეც უნდა იყოს. მე არ ვთვლი, რომ პარტიებს შორის არჩევნებია, ეს არის რეფერენდუმი და ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ ამომრჩეველთა დიდი ნაწილი მხარს დაუჭერს პროდასავლურ ორბიტაზე მყოფ პოლიტიკურ პარტიებს. „ქართული ქარტიის“ მიზანია, ხელისუფლებაში არ მოვიდეს ერთი კონკრეტული ძალა, არამედ მოვიდეს დაბალანსებული, ანუ კოალიციური ძალა, გვყავდეს დროებითი მთავრობა, ჩატარდეს ქვეყანაში რეფორმები, დავუბრუნდეთ რეალურ ცხოვრებას და მაშინ მომდევნო არჩევნები უკვე პარტიებს, იდეოლოგიებს, ლიდერებს შორის იქნება არჩევანის გაკეთების საშუალება.

- როგორ გადანაწილდება ძალები მომავალ პარლამენტში?

- მინდა, ამომრჩეველმა ერთ ფაქტზე გაამახვილოს ყურადღება და გაითვალისწინოს, რომ 2024 წლის არჩევნები არის სრულიად პროპორციული არჩევნები და წინა არჩევნების მონაცემებითაც კი მმართველ გუნდს არ ჰქონდა იმის რესურსი, რომ უმრავლესობით დაეკომპლექტებინა პარლამენტი. მან საპარლამენტო უმრავლესობა მხოლოდ და მხოლოდ მაჟორიტარების ხარჯზე შეძლო. დღეს ეს ბერკეტი ხელისუფლებას არ გააჩნია. შესაბამისად, „ქართული ოცნება“ ვერანაირი კონფიგურაციით ვერ დააგროვებს ხმათა უმრავლესობას ამ პარლამენტში, ხოლო ოპოზიციას შორის როგორ გადანაწილდება მანდატები, ამის პროგნოზი ძალიან რთულია იმიტომ, რომ ბევრი ძალა მონაწილეობს არჩევნებში, თუმცა ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ ჩვენი კოალიცია „ცვლილებებისთვის“ გადამწყვეტ როლს შეასრულებს ამ არჩევნებში. ამის თქმის საფუძველს იძლევა ის, რომ აქ არიან სწორედ ის გამოცდილი ადამიანები, პროფესიონალი კადრები, ახალი სახეები, რომელთაც აქვთ არჩევნების მოგების ელექტორალური, ინტელექტუალური რესურსი... ჩვენ შევძლებთ, ამომრჩეველთა დიდი ნაწილი დავარწმუნოთ ჩვენს უპირატესობაში და ღირსეულად ვიყოთ წარმოდგენილი კოალიციურ მმართველობაში, როგორც აჭარაში, ისე ცენტრალურ დონეზე.

- დაბოლოს, არის თუ არა საქართველოს 2024 წლის არჩევნები ისტორიული მნიშვნელობის?

- ნებისმიერი არჩევნები უმნიშვნელოვანესია ნებისმიერი ქვეყნის ისტორიაში, თუმცა ამ არჩევნებს აქვს რეფერენდუმის ხასიათი, რადგან ვირჩევთ არა მხოლოდ კონკრეტულ პარტიებს, არამედ ქვეყნის დასავლურ კურსს და თუ მივცემთ მანდატს პროდასავლურ პოლიტიკურ პარტიებს, შევძლებთ, ქვეყანა გადავარჩინოთ ხელახალ გასაბჭოებას და 90-იან წლებში დაბრუნებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, მივიღებთ ქვეყანას, რომელიც იქნება სიცოცხლისგან, ახალგაზრდებისგან და იმედისგან დაცლილი.

> *„საქართველოში არის ძალიან დიდი პროცენტი ამომრჩევლებისა, რომლებიც ხმებს აძლევენ არა იმის გამო, რომ რომელიმე პარტია მოსწონთ. არამედ იმის წინააღმდეგ, ვინც არ მოსწონთ. შესაბამისად, ამ შემთხვევაში ჩვენ დავკარგავდით ძალიან ბევრ ამომრჩეველს, რომელსაც, მაგალითად, არ უნდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ შემოხაზვა. არიან ისეთებიც, ვინც არც „ნაცმოძრაობას“ და არც „ქართულ ოცნებას“ არ შემოხაზავს და ასეთი ამომრჩეველი დარჩებოდა სახლში*

„მომავალი მთავრობა აუცილებლად კოალიციური იქნება“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა მკვეთრად რომ აისახება საზოგადოების განვითარებასა და თითოეული ადამიანის ცხოვრებაზე, არახალია. სწორედ ხელისუფლების ქმედებების შედეგად ქვეყანა ან ვითარდება, ანდა მისი განვითარება ფერხდება. ამის მაგალითი ჩვენი ქვეყანა იყო. ურთიერთდაპირისპირება, პოლარიზება ქართულ რეალობაში დღესაც მეტასტაზებად არის ფესვგადგმული. უდავოა, რომ როგორც მმართველი პარტია, ისე ოპოზიცია არჩევნებში გამარჯვებას ცდილობენ. სამწუხაროდ, ჩვენთან, დასავლეთისგან განსხვავებით, საარჩევნო მარათონი არაცივილურად მიმდინარეობს, რაშიც, გარკვეულწილად, ორთავე მხარე ცოდავს. მათ ყოველთვის რადიკალურად განსხვავებული შეხედულება აქვთ არსებულ რეალობაზე. ოპოზიციის თქმით, ქვეყანა ყველაზე საგანგაშო მდგომარეობაშია, მმართველი გუნდის აზრით კი სახელმწიფო თანმიმდევრულად ვითარდება. ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე „ლელო საქართველოსთვის“ აჭარის ახალგაზრდული ორგანიზაციის ლიდერ ***არჩილ ბერიძეს*** *ვესაუბრეთ.*

- ოპოზიცია ქვეყნის არასახარბიელო პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე საუბრობს, მმართველი პარტია კი აცხადებს, რომ ქვეყანა თანმიმდევრულად ვითარდება, თქვენი და ზოგადად, ოპოზიციის ბრალდებები ხელისუფლების მიმართ რამდენად საფუძვლიანია?

- როდესაც რაიმეზე ვსაუბრობთ, აუცილებელია, ფაქტებს დავეყრდნოთ, ფაქტი კი მხოლოდ ერთ რამეზე მეტყველებს - ხელისუფლებამ გადაუხვია კონსტიტუციით გათვალისწინებულ დასავლურ კურსს და ცდილობს, ქვეყანაში დანერგოს ტოტალიტარული მმართველობის ფორმა, სადაც მუდმივად იქნება სიღარიბე, გაჭირვება და მიგრაცია, რაც სრულ თანხვედრაშია რუსეთის ინტერესებთან.

- ვხედავთ, რომ პოლიტიკური სპექტრი გამოცოცხლდა, შეიქმნა რამდენიმე ოპოზიციური პლატფორმა, რას ფიქრობთ ამაზე?

- ოპოზიციურ ფლანგზე რამდენიმე პლატფორმის შექმნა ძალიან კარგია და ოპოზიცია ამ მხრივ სწორად იქცევა. საზოგადოების დაკვეთაა ხელისუფლების ცვლილება და კოალიციური მთავრობა, სადაც „ნაციონალური მოძრაობის“ წილი იქნება ძალიან მცირე (არაანგარიშგასაწევი). ამ მოცემულობით, საზოგადოებას აქვს რამდენიმე არჩევანი - „ნაციონალური მოძრაობა“, მასთან გამიჯნული „ახალი“, „ქართული ოცნება“, „ქართული ოცნებისგან“ გამოყოფილი გახარიას „საქართველოსთვის“ და „ლელო“, რომელიც არც „ნაცი“ ყოფილა და არც „ქოცი“. ეს არის სწორი გზა, რათა ამ ქვეყანაში დასრულდეს პოლარიზაცია და ორპარტიული მმართველობა. მეტიც, სხვა პარტიებმა უნდა იპოვონ მათთვის სასურველი და მისაღები პლატფორმები და შეუერთდნენ, რათა რაც შეიძლება ნაკლები ხმა დაიკარგოს.

- პარტია „ახალის“ ერთ-ერთმა ლიდერმა ნიკა გვარამიამ სინანული გამოთქვა, რომ თქვენი პარტია არ გაერთიანდა ახალ ოპოზიციურ პლატფორმაში, რა არის ამის მიზეზი?

- ვფიქრობ, ეს კომპლექსური საკითხია. იყო სხვაობები, რაც ფუნდამენტური აღმოჩნდა. არ ვფიქრობ, რომ ეს ცუდია, პირიქით, რაც მეტი ისეთი პლატფორმა იქნება, რომელიც ბარიერს დამოუკიდებლად გადალახავს, უკეთესია ოპოზიციური სპექტრისთვის.

- აშკარაა, რომ ქვეყანა საარჩევნო რეჟიმში გადავიდა, რამდენად ცივილური საარჩევნო მარათონი გველოდება?

- წელს ძალიან რთული არჩევნები იქნება. ოპოზიცია გამარჯვებასთან ასე ახლოს არასდროს ყოფილა, „ოცნება“ კი ყველაფერს გააკეთებს, რომ ძალაუფლება შეინარჩუნოს, თუმცა დღეს ოპოზიცია ბევრად ძლიერია, ვიდრე აქამდე ყოფილა და მგონია, რომ ამ ბარიერს გადალახავს. თანაც, „ქართული ოცნება“ დღეს პრორუსულ პოლიტიკას ატარებს, ოპოზიცია კი დასავლურ კურსს ირჩევს, ამიტომაც საზოგადოების ჩართულობა ამ პროცესში უმნიშვნელოვანესი იქნება.

- პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ მომავალ პარლამენტში მმართველი პარტია 60 პროცენტს აიღებს, ეს განცხადება რეალობასთან ახლოსაა თუ ოპოზიციაზე ზემოქმედების საშუალებაა?

- ეს განცხადება იმდენად აცდენილია რეალობას, რომ სასაცილოც კი არ არის. „ოცნებას“ ამდენი 2012 წელსაც კი არ აუღია. მსგავს შედეგს მხოლოდ და მხოლოდ კობახიძის სიზმრებში თუ შევხვდებით. ამ საკითხზე სერიოზული მსჯელობა მხოლოდ დროის დაკარგვა იქნება.

- ქართულ პოლიტიკურ ორბიტაზე რამდენად რეალურია მესამე ძალის გამოჩენა?

- გააჩნია, რას ვეძახით მესამე ძალას. ამ განმარტების დეფინიციად თუ ჩავთვლით პოლიტიკურ პარტიას, რომელიც არც „ნაცი“ იყო და არც „ქოცი“, ასეთი უკვე არსებობს „ლელოს“ სახით, რომელიც ამ არჩევნებზე აუცილებლად გარდამტეხ როლს ითამაშებს.

- რა შანსი აქვს „ლელოს“ არჩევნებში?

- როგორც ზემოთ ვთქვი, იმ პარტიებს შორის, რომლებსაც ბარიერის გადალახვის პრობლემა არ აქვს, „ლელო“ არის ერთადერთი, რომელიც სხვა პარტიების გაყოფით არ წარმოქმნილა და არც „ნაცი“ ყოფილა, არც „ქოცი“. საზოგადოების დაკვეთა დღეს კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბებაა, სადაც ნაცების წილი იქნება უმნიშვნელო. „ლელოს“, „ხალხისთვის“ და „თავისუფლების მოედნის“ გაერთიანებამ ეს აზრი კიდევ უფრო განამტკიცა. დღეს საზოგადოებისთვის ყველაზე კარგი არჩევანი არის „ლელო“. მესმის, რომ დიდი არჩევანის ფუფუნება არ გვაქვს, ხშირად გვიწევს ცუდსა და უარესს შორის არჩევა, მაგრამ „ლელომ“ გაარღვია ეს წრე და ქართულ პოლიტიკაში „კარგის“ არჩევის შესაძლებლობა გააჩინა.

- რამდენად მოსალოდნელია „ახალმა“ ხმები წაართვას „ნაცმოძრაობას“?

- „ნაციონალურ მოძრაობას“ ეგზისტენციალური კრიზისი აქვს. ამ არჩევნების შემდეგ, ის მთავარი ოპოზიციური პარტიის (ან ყველაზე დიდი პარტიის) სტატუსს დაკარგავს, რადგან ასე სუსტი არასდროს ყოფილა. „ახალის“ ელექტორატი არამეშისტი „ნაცები“ არიან, რომლებსაც მობეზრდათ ბელადომანია. ამიტომაც, მარტივად შეგვიძლია ვთქვათ, რომ „ახალი“, ძირითადად, „ნაციონალურ მოძრაობას“ წაართმევს ხმებს.

- ექსპერტები აცხადებენ, რომ მთავარია, ოპოზიციამ შუაშისტური ამომრჩევლის ხმები მოიზიდოს, ამ მხრივ რას აკეთებს ოპოზიცია?

- ოპოზიციაში შუაშისტური (არა - „ნაცი“ და არა - „ქოცი“) პლატფორმა უკვე არსებობს „ლელოს“ სახით. „ლელო“ ცდილობს, რომ ამ პლატფორმაზე მოიზიდოს ბევრი თანამოაზრე. ჩვენ უკვე შემოგვიერთდა „ხალხისთვის“ და „თავისუფლების მოედანი“. ჯერ კიდევ გვაქვს მოლაპარაკებები თანამოაზრეებთან და ვაპირებთ, წინასაარჩევნოდ კიდევ უფრო გავძლიერდეთ, რათა მოვახერხოთ და შევცვალოთ „ქართული ოცნების“ ხელისუფლება ისე, რომ წამყვანი ძალა „ნაციონალური მოძრაობა“ არ იყოს.

- ექსპერტები იმასაც ამბობენ, რომ ოპოზიციის გამარჯვების ერთი-ერთი ფორმულა ამომრჩეველთა აქტიურობაა არჩევნებზე, რამდენად საფუძვლიანად მუშაობს ოპოზიცია ამ მიმართებით?

- ოპოზიცია ნამდვილად მუშაობს, რომ არჩევნებზე რაც შეიძლება მეტი ადამიანი მივიდეს და რაც შეიძლება ნაკლები ოპოზიციური ხმა დაიკარგოს. ეს ძალიან მნიშვნელოვანი კომპონენტია. 2012 წელს „ნაციონალური მოძრაობა“ თვლიდა, რომ ხელისუფლებას შეინარჩუნებდა, მაგრამ არჩევნებზე ძალიან ბევრი ოპოზიციურად განწყობილი ადამიანი მივიდა, „ნაცმოძრაობამ“ კი არჩევნებზე გავლენა ვერ მოახდინა. წელსაც ანალოგიურად უნდა მოხდეს, - არჩევნებზე უნდა მივიდეს ყველა, ვისაც არ უნდა ამ ქვეყნის გარუსება და მხარი დაუჭიროს მისთვის სასურველ ოპოზიციურ პარტიას. ეს ერთ-ერთი გამოსავალია იმ ჩიხიდან, სადაც „ქართულმა ოცნებამ“ შეგვიყვანა.

- რამდენად მოსალოდნელია, რომ მომავალი მთავრობა კოალიციური იყოს და ამ მხრივ როგორ წარმოგიდგენიათ ოპოზიციის ურთიერთთანამშრომლობა, მით უფრო, რომ „ნაცმოძრაობა“ და „ახალი“ სამკვდრო-სასიცოცხლოდ არიან დაპირისპირებულნი?

- მომავალი მთავრობა აუცილებლად კოალიციური იქნება, ეს არის საზოგადოების დაკვეთა და პოლიტიკური პარტიები ამას ვერ გაექცევიან. პარტიებს მოუწევთ მნიშვნელოვან საკითხებზე საერთო ენის გამონახვა, სხვა შემთხვევაში, უგულებელყოფენ საზოგადოების ინტერესებს, ეს კი თვითმკვლელობის ტოლფასი იქნება პარტიებისთვის, რადგან მომდევნო მოწვევის პარლამენტში მათი ადგილი აღარ იქნება.

- რამდენად სერიოზულია საქართველოსთვის საგარეო საფრთხეები და რამ შეიძლება გამოიწვიოს მათი ესკალაცია?

- საქართველოს საგარეო საფრთხე რუსეთიდან მომდინარეობს. ამ მხრივ „ქართული ოცნების“ პოლიტიკა ყოვლად მიუღებელია, რადგან მას სურს საქართველო რუსეთს დაქვემდებარებულ პროვინციად აქციოს. მეორე მხრივ, ოპოზიცია გამარჯვების შემდგომ პერიოდში ძალიან ფრთხილად უნდა იყოს და დასავლეთთან თანამშრომლობით უნდა გადადგას ისეთი ნაბიჯები, რაც საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებას გაზრდის.

> ***„როგორც ზემოთ ვთქვი, იმ პარტიებს შორის, რომლებსაც ბარიერის გადალახვის პრობლემა არ აქვს, „ლელო“ არის ერთადერთი, რომელიც სხვა პარტიების გაყოფით არ წარმოქმნილა და არც „ნაცი“ ყოფილა, არც „ქოცი“. საზოგადოების დაკვეთა დღეს კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბებაა, სადაც ნაცების წილი იქნება უმნიშვნელო“***

ქრონიკა

მე-2 გვერდიდან

* * *

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბსუ-ის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის 2023-2024 წლის კურსდამთავრებულთა გამოშვების საზეიმო ცერემონია გაიმართა. ფაკულტეტი 2023-2024 წელს, ერთსაფეხურიანი, საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების, 235-მა სტუდენტმა დაასრულა, მათ შორის დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის 112-მა სტუდენტმა. კურსდამთავრებულთა საზეიმო გაცილების ცერემონია ექიმის ფიცის დადებითა და საზეიმო ტორტის გაჭრით დასრულდა. გამოშვება მუსიკალურად გააფორმა ბსუ-ის ბენდმა „OFF SIDE“. 2024 წელს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა 1200-მდე სტუდენტმა დაამთავრა.

* * *

ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრი აგრძელებს პროექტს „ახალგაზრდული ფესტივალი მთაში“. ქედის შემდეგ, ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრის ორგანიზებითა და შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, მას შუახევმა უმასპინძლა. დაბა შუახევის საჯარო სკოლის ეზო ორგანიზატორებმა და დამსწრეებმა გაახალისეს. ღონისძიების დაწყებამდე ადგილობრივ კულინარებსა და ქარგვა-ქსოვის, ხეზე კვეთის ოსტატებს კუთხეები მიუჩინეს. კულინარები ელზა ველიაძე, რუსუდან დარჩიძე, მზია დავითაძე ადგილობრივ კერძებსა და ნამცხვრებს სთავაზობდნენ სტუმრებს. დავით ბერიძესა და თამუნა ზოიძეს კი სხვადასხვა სახის ნაწარმი ჰქონდათ გამოტანილი. ფესტივალის მონაწილენი აგემოვნებდნენ ადგილობრივ კერძებს, ტრადიციულ გამაგრილებელ სასმელებს, გამოფენა-გაყიდვის სივრცეებში შეიძინეს ადგილობრივი მეწარმეების ნამუშევრები. სანახაობრივი იყო ფესტივალისთვის სპეციალურად დამზადებული ინსტალაციები, მომაჯადოებლად ლამაზი დეკორაციები, ბავშვთა გასართობი სივრცეები.

* * *

ჯანსაღი ცხოვრების წესის დასამკვიდრებლად ქედის მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვანი სამუშაოები მიმდინარეობს. ნორმალური სპორტული ბაზების მოწყობა უდავოდ აისახება აქაური ახალგაზრდების შედეგებზე რესპუბლიკურ თუ საერთაშორისო სპორტულ პაექრობებში. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა თანხებს არ ზოგავს სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის. პროექტის ფარგლებში სოფელ დანდალოს და ცხმორისის სპორტული მოედნის სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა. მუნიციპალიტეტის მერმა როლანდ ბერიძემ, მისმა პირველმა მოადგილე იმედა ვასაძემ ცხმორისის და დანდალოს ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლებთან ერთად სპორტულ მოედნებზე დასრულებული სარეაბილიტაციო სამუშაოები მოინახულეს. სპორტულ მოედნებს ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია, მოეწყო სექციური ღობეები, ხელოვნური საფარი, სანიაღვრე არხები და დამონტაჟდა განათების სისტემა. თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სპორტული მოედანი გაკუთვნილია როგორც ფეხბურთის, ასევე, კალათბურთის სათამაშოდ. სარეაბილიტაციო სამუშაოებზე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 258 026 ლარი დაიხარჯა.

* * *

სალაშქრო ფესტივალი „ზღვიდან მთამდე“ წელს პირველად ტარდება აჭარაში. ფესტივალში მონაწილეობა გამოცდილ მოლაშქრეებს შეეძლოთ. 45-კილომეტრიანი საფეხმავლო მარშრუტი მთლიანად ალპურ ზონაში გადის და აჭარის ორ მაღალმთიან მუნიციპალიტეტს - ხულოსა და შუახევს აერთიანებს. სალაშქრო ფესტივალში 200-მდე მსურველი დარეგისტრირდა. მათგან 100 მონაწილე სალაშქრო გამოცდილებისა და საკუთარი აღჭურვილობის მიხედვით შეირჩა. ისინი 45-კილომეტრიან მარშრუტს ხუთ დღეში, ინსტრუქტორების დახმარებით, დაფარავენ. მარშრუტი 23 ივლისს ჩირუხის მთიდან დაიწყო და 28 ივლისს ალპურ ბოტანიკურ ბაღში დასრულდება. ფესტივალის დასკვნითი ღონისძიება გოდერძის ალპურ ბოტანიკურ ბაღშია ჩანიშნული. სალაშქრო ფესტივალში „ზღვიდან მთამდე“ 100-მდე მოლაშქრე მონაწილეობს.

* * *

ჩაქვში მედიკოსთა 56-ე ტრადიციული საერთაშორისო სკოლა-კონფერენცია „თანამედროვე კლინიკური მედიცინა, მიღწევები და უახლესი ტექნოლოგიები, ახალი ათასწლეულის მედიცინა“ გაიხსნა. კონფერენციის გახსნას აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე დაესწრო. მარი ზანაქიძე მონაწილეებს მიესალმა და წარმატებები უსურვა. კონფერენციაზე განიხილება სხვადასხვა თემატიკა, მათ შორის: ნეიროგამოწვევები ზოგადი საექიმო პრაქტიკის ჭრილში, მორფოლოგიური კვლევები, დედათა და ბავშვთა ჯანდაცვის აქტუალური საკითხები, ახალი ტექნოლოგიები და მიღწევები ნაყოფის მედიცინასა და პრენატალურ ულტრაბგერით დიაგნოსტიკაში და სხვა. კონფერენცია საქართველოს მეცნიერთა და სპეციალისტთა ასოციაციის მედიცინის დეპარტამენტის, სხვა ასოციაციებისა და ორგანიზაცია-დაწესებულებების ეგიდით იმართება და მასში სხვადასხვა ქვეყნის დელეგატები მონაწილეობენ.

* * *

1 აგვისტოდან 25 აგვისტოს ჩათვლით და 1 აგვისტოდან 31 აგვისტოს ჩათვლით თბილისი-ბათუმი-თბილისის მიმართულებას რეისები მოემატება. საქართველოს რკინიგზის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, 1 აგვისტოდან მსვლელობიდან მოიხსნება თბილისი-ბათუმი-თბილისის ღამის სამგზავრო მატარებელი. საქართველოს რკინგზა მოსახლეობას მატარებლების მოძრაობის განრიგსაც აცნობს. 1 აგვისტოდან 25 აგვისტოს ჩათვლით: თბილისი-ბათუმი - 06:30-11:38 სთ; 14:20-19:28 სთ. 1 აგვისტოდან 31 აგვისტოს ჩათვლით: თბილისი-ბათუმი - 10:25-15:33 სთ; 17:20 - 22:21 სთ.

მოამზადა
ხატია იაშვილმა

ქართული ჭიდაობის მოამაგეს ღვაწლი დაუფასეს

შუახეველმა ნოშრევან დავითაძემ თითქმის ნახევარი საუკუნე მოახმარა მშობლიურ რაიონში სპორტის განვითარებას. დიდია მისი ღვაწლი ქართული ჭიდაობის განვითარებაში. სიცოცხლეშივე სპორტის ამ სახეობაში მისი სახელობის ტურნირები იმართებოდა, გარდაცვალების შემდეგ კი ნოშრევან დავითაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ღია ტურნირი ყოველწლიურად ტარდება

ამჯერად შუახევის სპორტული ცენტრის დარბაზში ჩატარდა საქართველოს სპორტის სფეროში დამსახურებული მუშაკის, სპორტის გამოცდილი ორგანიზატორის, ქართული ჭიდაობის მოამაგე ნოშრევან დავითაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტრადიციული ღია ტურნირი, რომელშიც, აჭარის ტერიტორიაზე მცხოვრები 2008-2010 წლებში დაბადებული სპორტსმენების გარდა, ხაშურელი და ოზურგეთელი ახალბედა ფალავნებიც მონაწილეობდნენ.

ტურნირის საზეიმო გახსნისას, აჭარის ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა ჯემალ წულუკიძემ ხაზი გაუსვა ნოშრევან დავითაძის დამსახურებას შუახევის მუნიციპალიტეტში ქართული ჭიდაობის განვითარებაში, ხელშეწყობასა და პოპულარიზაციაში.

- ნოშრევან დავითაძემ, როგორც შუახევის სპორტკომიტეტის იმჟამინდელმა თავმჯდომარემ, პირველად აჭარაში, ქართული ჭიდაობის ოფიციალური ჯგუფის გახსნით ცოცხალი ძეგლი დაუდგა ქართულ ჭიდაობას და მომავალ თაობებს საშუალება მისცა, გულით შეეყვარებინათ ქართული საჭიდაო ჩოხა, შეეგრძნოთ ამ ჩოხის და ქართული ჭიდაობის მადლი, - თქვა მან.

შეჯიბრების მონაწილეებს მიესალმნენ შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე, მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე გურამ ზოიძე, შუახევის სპორტული ცენტრის დირექტორი რამინ ჯოიძე, ხაშურის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი არჩილ მამულაშვილი და ნოშრევან დავითაძის ქალიშვილი ლია დავითაძე.



აჭარის ქართული ჭიდაობის ფედერაციის თანადგომისთვის, ფედერაციასა და ხაშურის კომპლექსურ სასპორტო სკოლას შორის მჭიდრო თანამშრომლობისა და ქართული ჭიდაობის განვითარებაში შეტანილი პირადი წვლილისათვის ფედერაციის მადლობის სიგელები გადაეცათ ხაშურის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს, ჩოხიანი ჭიდაობის სახეობებში მსოფლიო, ევროპისა და საქართველოს ჩემპიონატების პრიზიორების აღმზრდელებს, ვეტერან მოჭიდავეებს მალხაზ ნოზაძეს, ბუხუტი ბუხრიკიძესა და არჩილ მამულაშვილს.

გაწეული ღვაწლისა და დაბადების საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით, ფედერაციის მადლობის სიგელები ასევე გადაეცათ აჭარის ქართული ჭიდაობის ფედერაციის გენერალურ მდივან ილია არძენაძესა და ფედერაციის ახალგაზრდული ნაკრების მთავარ მწვრთნელ მიხეილ კოჩალიძეს.

ტურნირმა 6 წონით კატეგორიაში გამარჯვებულები გამოავლინა. 50 კილოგრამ წონით კატეგორიაში ტურნირის პრიზიორები გახდნენ: გიორგი კაპანაძე (ხაშური), დაჩი ბარამიძე (ქობულეთი), ნიკა ტაკიძე (შუახევი); 55 კგ-ში: თეიმურაზ შველიძე (ხაშური), რევაზ გულიაშვილი (ხაშური), გიორგი ტაკიძე (შუახევი); 60 კგ-ში: ლუკა მაღლაკელიძე (ხაშური), გიორგი გარსევანოვი (ხაშური), ლერი შაინიძე (ქობულეთი); 66 კგ-ში: აკაკი რუსიეშვილი (ოზურგეთი), საბა შავაძე (ქობულეთი), მამუკა ტარიელაძე (შუახევი); 73 კგ-ში: ზურა ბერიძე (ქობულეთი), ლუკა ფუტკარაძე (შუახევი), გიორგი ფაჩულია (ოზურგეთი); +73კგ-ში: თემურ მჭედლიძე (ხაშური), ნიკა ბერიძე (შუახევი), მინდია ბერიძე (ოზურგეთი).

საპრიზო ადგილებზე გასული სპორტსმენები სიგელებით, თასებით, შესაბამისი სინჯის მედლებით და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ.

ხსოვნის ტურნირი აჭარის ქართული ჭიდაობის ფედერაციის ორგანიზებითა და აჭარის სპორტის დეპარტამენტის ფინანსური მხარდაჭერით ჩატარდა.

ქალაქისკენ არ გაურბით თვალი

შუახევის რაიონის სოფელ მახალაკიძეების მკვიდრმა ოთარ დარჩიძემ ივლისში 80 წელი უკან მოიტოვა. ასაკი ვერ აშინებსო, მასზე ითქმის. ისევ მხნედ გამოიყურება, არც მეხსიერება ღალატობს. იმ ადამიანებს შორისაა, უკან მოხედვის რომ არ ეშინიათ, მომავალსაც საღი თვალით უმზერენ და პატიოსანი ცხოვრებით ხვდებიან



- ოჯახში სამი ძმა და ერთი და ვიზრდებოდით. მახალაკიძეები საქართველო-თურქეთის საზღვრისპირა სოფელია. რუსეთ-თურქეთის 1877-78 წლების ომში ჩვენი წინაპრები მამულის გამომხსნელთა რიგებში იყვნენ. მეორე მსოფლიო ომმაც ჩვენგან მსხვერპლი მოითხოვა. რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის დღეებში ქართულ ჯარში 35-მდე მახალაკიძეებელი ჭაბუკი მსახურობდა. არც მე ვიყავი გულხელდაკრეფილი, სამხედრო ვალდებულება ბელარუსის ტერიტორიაზე, ქალაქ გროდნოში მოვიხადე. სამ წელიწადს რუსული ჩექმა და ჯარისკაცის ფარაჯა ვატარე. ჩვენი სოფლის, კერძოდ, ჩემი წინაპრების კუთვნილ მიწაზე იყო რუსული სამხედრო საგუშაგო. დღესაც თავი იმ ჯარისკაცად მიმაჩნია, რომელიც სამშობლოს იცავს, მამულის სიყვარულით საზრდოობს.

- ამჟამად მახალაკიძეები, ჩანჩხალო, წანკალაური და გომარდულია შუახეველი დარჩიძეების ადგილის დედა. გვარი სოფლის პატივსაცემად მოირგეთ?

- სიტყვა მახალაკი ქართული პურის ჯიშისგან მომდინარეობს. ჩვენი სოფლის გეოგრაფიული მდებარეობა ხორბლის ამ ჯიშისთვის მორგებული ყოფილა. მდინარე სხალთისწყლის მარცხენა სანაპიროზეა დასახლება მახალაკური. იქაც, თურმე, ზემოთ დასახელებული პურის ჯიში ითესებოდა. გონიერი წინაპარი მახალაკეთში (ასე უწოდებდნენ უხუცესები) სოფელ-სოფელ დარჩიძეებიდან წამოსულა. საცხოვრისადაც მზით და მთვარით განათებული ტერიტორია შეურჩევიათ. ხელოვნების ტრფიალნი ყოფილან. მათ გზას ადრე ლევან დარჩიძე აგრძელებდა. ახლა მისი შვილები ავთანდილი და ბადრი - სიმღერის („მარეთი“) და ცეკვის („ფესვები“) ანსამბლების ხელმძღვანელები არიან.

- ცეკვა-სიმღერა თქვენც ხომ გეხერხებათ?

- სამეგობრო სუფრასთან არც ერთს დავიზარებ და არც მეორეს, თუმცა ძმისა და ძმისშვილის გარდაცვალების შემდეგ თავს ვიკავებ. შვილები და შვილიშვილები ბრილიანტის ქორწილის გადახდას მიპირებდნენ, მაგრამ დარდმა და ვარამმა თავისი ქნა. 19 წლის ასაკში, 1963 წელს, მე და სემინეთ ცეცხლაძემ ოჯახი შევქმენით. პირველი შვილი 20 წლის ასაკში შემეძინა. წელს მას დაბადებიდან 60 წელი შეუსრულდა, მე - 80.

- მაწყვალთასა და მახალაკიძეებს სოფელი ოლადაური ყოფს. ბედმა მაწყვალთაში მიგიყვანათ. თქვენი და სემინეთ ცეცხლაძის ურთიერთობიდან მოსაგონრად რა გრჩებათ?

- მამამისი ნუსხედინ ცეცხლაძე ჩვენი დაქორწინების წინააღმდეგი იყო. ერთმანეთი გვიყვარდა და „მოვიპარე“. ღვთის წყალობით, სანანაბელი არ გაგვიხდა. 61 წელია ერთად მოვდივართ. ორი ვაჟი გავზარდეთ, 4 შვილიშვილს და 7 შვილთაშვილს მოვესწარით. სემინეთი მშრომელი, ოჯახის მოსიყვარულე ქალია. არჩეული იყო აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. ზულეიხა ფუტკარაძის შემდეგ, მარეთის ხეობაში მეორე ქალი იყო, რომელმაც ლენინის ორდენი დაიმსახურა. ეს ჯილდო შრომის შედეგია.

- თქვენს საქმიანობაზე გვიამბეთ...

- 60 წელია, სოფლისა და ქვეყნის კეთილდღეობას ვემსახურები. წლების განმავლობაში სოფელ მახალაკიძეების ხელმძღვანელი ვიყავი. ხალხის სამსახურში ყოფნა ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა. ვფიქრობ, პირნათლად მოვიხადე ვალი ხალხის წინაშე. დედის დარიგებას ყოველთვის ვასრულებდი.

- რა იყო ამ დარიგების არსი?

- ადამიანების მოფერება, ქვეყნისა და ხალხის სიყვარული, ოჯახში ალალი შრომით შემოტანილი ფული. განა მარტო მე? ამ წესით იცხოვრა წუთისოფლიდან წასულმა ძმამ, ამ წესით ცხოვრობენ უმცროსი ძმა ზურაბი და ლანჩხუთის რაიონში საცხოვრებლად გადასული და. ზურაბი 20 წელზე მეტია, მახალაკიძეების ფრიდონ მახარაძის სახელობის საჯარო სკოლის დირექტორია. მეამყება, რომ დიდი ავტორიტეტით სარგებლობს.

- სამივე ძმა მახალაკიძეებში დარჩით, იშვიათი ამბავია.

- წინაპრების დარიგებისადმი ერთგულების შედეგია ეს. სამივე შესანიშნავად ვცხოვრობთ. მართალია, ჩვენი ნამრავლი ქალაქში დამკვიდრდა, მაგრამ ხშირად გვაქვს შეხვედრები სოფელში და ვცდილობთ, არ დავავიწყოთ ძირძველი კერა ახლანდელ თაობებს. მე და სემინეთს ქალაქისკენ არ გაგვირბის თვალი. აისიდან დაისამდე ეზო-კარმიდამოს ვეფერებით, სოფლის ნობათით შვილებსა და შვილიშვილებს ვახარებთ.

- ტკბილ მოგონებად რა გრჩებათ?

- რომელი ერთი ჩამოვთვალო... ალბათ, მაინც მე და სემინეთი რომ გავიპარეთ, ის დღეები.

- რა გეჯავრებათ?

- ღალატი - მეგობრობაში, ტყუილი, ადამიანის მიერ ადამიანის დამცირება.

- ამბობენ, ზოგჯერ ტყუილი გამართლებულიაო. თქვენ რას ფიქრობთ?

- ყოფილა შემთხვევა, ტყუილი ხიფათს ამაშორებდა, მაგრამ სიმართლეც ვთქვი და თავიც გადავირჩინე. მეცხოველეობის ფერმის გამგედ მუშაობისას მინაწერის გაკეთება შემომთავაზეს. არ დავუშვი. იმ წელიწადს კოლმეურნეობა მილიონერი ვერ გახდა, მაგრამ მომდევნო წელს საქმეს გულიანად მოჰკიდეს ხელი და ექვსი სოფლის ბაზაზე შეკოწიწებული კოლმეურნეობა რაიონში პირველი მილიონერი გახდა.

- სხვის იმედზე ყოფნას როგორ აფასებთ?

- ადამიანმა ოჯახი შენი შეხედულებით და განწყობით უნდა მართო. შენი თავი შენადვე უნდა გეყუდნოდეს, მოიგებ - შენს ჭკუას ეტყვი მადლობას, წააგებ და საკუთარ თავს დააბრალებ. ჩემი ცხოვრების თითქმის ორი მესამედი ფიზიკურ შრომაში განვლიე. ჭირიც მინახავს და ლხინიც, გაჭირვების ჟამს იცნობა ადამიანი, დრომ ჩემ ირგვლივ ხალხი გაფილტრა და ნამდვილი მეგობრები შემომრჩნენ გვერდით. მადლობელი ვარ უფლის, რომ 80 წელი ისე ვიცხოვრე, უკან მოხედვის არ მრცხვენია და არც ჩემი ნაჭამი ტყემალი მოჰკვეთს კბილებს ჩემს შვილიშვილებს. იყო დრო, ლექსებსაც ვწერდი. უბის წიგნაკში რამდენიმე შემორჩენილი მაქვს. ვეთაყვანები ქართულ სიტყვას, ჩვენს წმინდათაწმინდა ენას.

გვერდი მოამზადა
ოთარ ცინარიძემ

„სამყარო მუდმივად გვიგზავნის ბედნიერების უხილავ სხივებს“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

პირველი დანახვისთანავე დადებითად განეწყობით მის მიმართ. შეუძლებელია, თქვენი ყურადღება არ მიიპყროს იერსახით, თავაზიანობით, კულტურით, შინაგანი ხიბლით, ინტელექტით გამორჩეულმა. ეს ქალბატონი ჩვენი თანაქალაქელი, მწერალი და იურისტი ***ხათუნა დოლიძეა*** *- ოთხი პროზაული და ერთი პოეტური კრებულის ავტორი. იგი მრავალი წელია ბათუმში ცხოვრობს და აქ ქმნის თავის ნოველებს, ლექსებს. მას მრავალი მკითხველი ჰყავს, განსაკუთრებით ინტერესდებიან მისი პროზით, ეხმიანებიან მწერალს და სურთ მოუსმინონ მას. სწორედ ამ ინტერესის გამოძახილია ეს ინტერვიუც.*

- რა არის თქვენი წარმატების ფორმულა?

- უპირველესად, მოგესალმებით! რაც შეეხება თქვენს შეკითხვას, გააჩნია, კონკრეტულად რას გულისხმობთ. ზოგადად, ადამიანი პრინციპებისადმი ერთგულებითა და საქმისადმი პასუხისმგებლობით იქმნის საკუთარ იმიჯს. ამ თვალსაზრისით, ვცდილობ, მუდმივად ვიყო ფორმაში. რაც შეეხება წარმატების ფორმულას, მსგავსი მზა რეცეპტი ბუნებაში არ არსებობს.

- ლიტერატურულ გზას როგორ შეუდექით, როდის გაიღვიძა თქვენში მწერალმა?

- ლექსების წერა საკმაოდ პატარა ასაკიდან დავიწყე. შვიდი წლის ვიყავი, როდესაც პირველად მეწვია მუზა, პროზაში კი ჩემი შესაძლებლობები შედარებით გვიან, ამ რამდენიმე წლის წინ მოვსინჯე. ჩემი ხუთი კრებულიდან, ერთი პოეტურია, ოთხი კი პროზაული, კერძოდ, ნოველების. ეს იმას მეტყველებს, რომ ახლა ჩემი ძალისხმევა უფრო მეტად პროზისკენაა მიმართული... გულწრფელად ვიტყვი, რომ ჩემთვის წიგნების რაოდენობა ბევრს არაფერს ნიშნავს. თანამედროვე ქართული მწერლობა, თითქმის მთლიანად, კომერციულ რელსებზეა გადასული. სამწუხაროდ, აღარ არსებობს კონტროლის არანაირი მექანიზმი. ნებისმიერს, ვისაც ფინანსური საშუალება და ამბიცია გააჩნია, შეუძლია ამ სფეროში ფეხი შემოაბიჯოს. ამ მხრივ მეტად სავალალო მდგომარეობაა. ვგულისხმობ ლიტერატურული კრიტიკის ფაქტობრივად არარსებობას, რაც ხელს უშლის არა მარტო ლიტერატურის განვითარებას, არამედ არსებულის შენარჩუნებასაც კი.

- შესანიშნავი პროზაიკოსი ქალბატონი - როცა ასე გახასიათებენ, თავად რას ფიქრობთ და ლიტერატურის რომელ ჟანრში შეძელით საკუთარი ნაფიქრალის უკეთ გამოხატვა?

- არ ვფიქრობ, რომ შესანიშნავი პროზაიკოსი ვარ, თუმცა საკუთარ თავზე სისტემატური მუშაობით გარკვეულ წარმატებას მივაღწიე. მიმაჩნია, რომ საკუთარი ნიშა უკვე მოვიპოვე მცირე ქართულ პროზაში, განსაკუთრებით, ნოველების ჟანრში. ვფიქრობ, აქ უფრო მეხერხება საკუთარი ნაფიქრალის მკაფიოდ გამოხატვა. ნოველების პარალელურად, ლექსებსაც აქტიურად ვწერ. როგორ გამომდის, ამის შეფასება მკითხველისთვის მიმინდვია. ჩემი ნოველები და ლექსები პერიოდულად იბეჭდება „ლიტერატურულ გაზეთში“, რომელიც ერთ-ერთი სერიოზული ლიტერატურული გამოცემაა.

- თქვენ გიცნობენ, როგორც კარგ იურისტს. ეს პროფესია რამდენად გეხმარებათ პერსონაჟთა ხასიათების გამოკვეთაში და ახლა რომ გიწევდეთ პროფესიის არჩევა, როგორ მოიქცეოდით?

- კარგის რა მოგახსენოთ, მაგრამ პროფესიით იურისტი გახლავართ. არჩევანის აუცილებლობის წინაშე ისევ რომ დავდგე, იგივე სპეციალობას ავირჩევდი, თუმცა, ახლანდელი გადმოსახედიდან, პროფესიული ზრდისა და წარმატებისთვის ბევრად მეტ მონდომებას და მიზანდასახულობას გამოვიჩენდი. რაც შეეხება ჩემს ნოველებს, ამ შემთხვევაში პერსონაჟების ფსიქოლოგიური პორტრეტის გამოძერწვაში პროფესიაზე მეტად ჩემი ალღო, „ცხოვრებაში მიღებული გამოცდილება, ხასიათის ძირითად შტრიხებზე დაყრდნობით ამა თუ იმ პიროვნების სავარაუდო ქცევის ამოცნობის უნარი და ფანტაზია მეხმარება. შესაძლოა მოხდეს ისეც, რომ დეტექტიურ ჟანრში მომუშავე ავტორმა, რომელსაც იურისპრუდენციასთან არასდროს ჰქონია შეხება, თავისი ლოგიკური აზროვნებით, პრაქტიკოს და გამოცდილ გამოძიებელსაც კი გადაამეტოს.

- უფლებებისა და მოვალეობებისადმი თქვენი დამოკიდებულება... და, საერთოდ, როგორ ესმით ეს საკითხი დღევანდელ საზოგადოებაში?

- ნებისმიერ ადამიანს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს საკუთარი უფლებები და მოვალეობები. უფლებები უფლებებად, მაგრამ, სამწუხაროდ, ბევრს ავიწყდება მოვალეობები, რაც ყოველდღიურ ურთიერთობებში აშკარად ვლინდება. უპასუხისმგებლო დამოკიდებულება ერთგვარ სენად იქცა საზოგადოებისთვის.

- თქვენი ფესვები, წინაპრები, რომლებთანაც სულიერ ერთობას გრძნობთ...

- ჩემთვის წინაპართა ხსოვნა ყველაზე ძვირფასი და წმიდათაწმინდაა. მე ხომ ერთ-ერთი რტო ვარ წარსულის სიღრმიდან ამოზრდილი უზარმაზარი სიცოცხლის ხისა, რომლის ფესვებზეც ჩემი სიცოცხლე აღმოცენდა.

- ტრადიცია, რომელიც გვაძლიერებს და პირიქით?

- ქართველ ერს მეტად ორიგინალური და ძირძველი ტრადიციები გაგვაჩნია, რომელმაც, უფლის წყალობით, დღემდე მოაღწია. გავიხსენებ თუნდაც ქართული სუფრის ხელოვნებას, რომელსაც მსოფლიოში ანალოგი არ მოეპოვება, თუმცა ამ ბოლო ხანებში ტრადიციების მიმართ დამოკიდებულება დამშვიდების საშუალებას არ იძლევა. ბევრი რამ უცხოურიდან ყოველგვარი კრიტიკის გარეშე გადმოვიღეთ, რაც არათუ ეწინააღმდეგება ეროვნულ ღირებულებებს, თვითმყოფადობის დაკარგვის საშიშროებასაც კი ქმნის.

- როგორია თქვენი დაკვირვებით თაობათა ცვლის პროცესი?

- ჩვენმა საზოგადოებამ ბოლო 30 წლის განმავლობაში მეტად მნიშვნელოვანი მენტალური ცვლილებები განიცადა. ჩვენ აღმოვჩნდით ორი არსებითად განსხვავებული ეპოქის მიჯნაზე. ცხადია, ამ პროცესებმა ჩემს შემოქმედებაზეც დიდი გავლენა მოახდინა და არაერთ ნოველაში ჰპოვა ასახვა. თუ ადრე პიროვნების ინტერესები საზოგადოებრივ აზრს ეწირებოდა, ახლა პირიქით - თითქმის სრულიად გათავისუფლდა ამ მარწუხებისგან. დღევანდელი თაობა, ძველზე ბევრად უფრო ნიჭიერი და დამოუკიდებელია. მათ საკუთარი ხედვა აქვთ აწმყოსა და მომავალზე. უფროსი თაობებისგან არსებითად განსხვავებულია მათი მისწრაფებები და სურვილები...

- ადამიანმა თავი რომ ბედნიერად იგრძნოს, ამის „რეცეპტს“ ხომ არ მოგვაწვდით?

- ვფიქრობ, ადამიანი, რომელსაც არ აქვს წვრილმანებით ტკბობის ნიჭი, ვერასდროს იქნება სრულყოფილად ბედნიერი. ბედნიერება, მარგალიტის მარცვლებივითაა გარშემო მიმოფანტული და ყველგან შეიძლება მისი პოვნა: მზის სხივებში, ცის ლაჟვარდში, ზღვის ტალღებში, გაზაფხულის გაშლილ ყვავილებში, შემოდგომის ფერებში, წრფელ ღიმილსა და უანგარო სიყვარულში. იდუმალებით მოცული სამყარო მუდმივად გვიგზავნის ბედნიერების უხილავ სხივებს, მთავარია, ჩვენ შეგვეძლოს ამ სხივებით ცხოვრების გალამაზება.

- რეალობა, რომელშიც ვცხოვრობთ და რომელშიც ჩვენს შთამომავლებს მოუწევთ ცხოვრება, როგორ განწყობას ქმნის, როგორია თქვენი თვალსაწიერიდან დანახული საქართველო?

- ძალიან მძიმე რეალობაში ვცხოვრობთ, ეს, გარკვეულწილად, ეპოქის ქარტეხილებმაც მოიტანა. გლობალიზაციის მსახვრალი ხელი ყველგან შემოიჭრა და, ცხადია, ეპოქას ხარკი ჩვენც უნდა გადავუხადოთ, თუმცა ეს არ უნდა მოხდეს საკუთარი იდენტობის დაკარგვის ხარჯზე.

- ღირებულება, რომელიც დროში მარადიულია და თქვენი შთაგონების წყაროა...

- არაფერია სიყვარულზე მეტად ღირებული ამ მზისქვეშეთში. თავად სიყვარულის ნაყოფია ყოველი უკვდავი ქმნილება, რომელსაც ჟამთა სვლა ვერ ანადგურებს.

- რამდენად ემპათიური ხართ? კოლეგებსა და ახლობლებთან, საერთოდ, ადამიანებთან თქვენი დამოკიდებულება...



- ტრადიციული გაგებით, ვერ შეცვლის. წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოდის, რომ ჩვენ ვეჯიბრებით უფალს, რომელმაც ადამიანი თავის ხატად შექმნა.

- გარემოს, სადაც თქვენი მოთხრობების პერსონაჟები ცხოვრობენ, გამიზნულად არჩევთ? ბუნებისადმი თქვენი დამოკიდებულება...

- როგორც ყველა შემოქმედს, მეც რაღაც თავისებურებები მახასიათებს წერის პროცესში. ყველა ჩემი ნოველა ერთი ამოსუნთქვითაა დაწერილი. ყველა პერსონაჟი, თავდაპირველად, თავისი სახასიათო სახელით იბადება ჩემს წარმოსახვაში. ზოგჯერ ესა თუ ის სახელი უცნაურად ამეკვიატება და მოსვენებას არ მაძლევს. ისეთი შეგრძნება მეუფლება, თითქოს თავად ეს გმირი მიხმობს და მთხოვს, მისი ტკივილი, მისი ცხოვრების ისტორია ფურცლებზე გადმოვიტანო. ამის შემდეგ კინოკადრივით ვხედავ იმ სიუჟეტს, რომელსაც ხორცი უნდა შევასხა და გავაცოცხლო. წერისას, მეც საკუთარივით განვიცდი ყოველი პერსონაჟის მარცხსა თუ სიხარულს. ბუნების სურათების აღწერა და მათი შერწყმა პერსონაჟების ხასიათებთან ის მახასიათებელია, რაც ჩემს ნაწარმოებებს სხვათაგან გამოარჩევს.

- ვინ არის გამორჩეული ხელოვანი (ქართველი თუ უცხოელი მწერალი, მხატვარი, კომპოზიტორი) თქვენთვის?

- მთელ ჩემს თავისუფალ დროს კითხვაში ვატარებ, ვკითხულობ როგორც უცხოურ, ასევე, ქართულ ლიტერატურას. მსოფლიოს იმდენი ბუმბერაზი კლასიკოსი ჰყავს, რომელიმეს გამორჩევა გამიჭირდება. თითოეული წიგნი, თავისი პერსონაჟებით, წარუშლელ კვალს ტოვებს მკითხველის ცნობიერებაზე.

- თქვენს ოჯახზე მოგვიყევით...

- მყავს ერთი ქალიშვილი და შვილიშვილი. ყველანაირად ვცდილობ, ვიყო კარგი დედა, ბებია და, ამავდროულად, კარგი მეგობარიც.

- გახედეთ ბათუმს სამ დროში (აწმყო, მყოფადი, მომავალი)...

- ბათუმში არ დავბადებულვარ, თუმცა მრავალი წელია ვცხოვრობ და ისეთივე მშობლიურად მივიჩნევ, როგორც ჩემს გურიას. ბათუმი იყო, არის და იქნება ერთ-ერთი გამორჩეული ტურისტული დანიშნულების ადგილი. ძველი და ახალი შენობების სინთეზითა და უამრავი ღირსშესანიშნაობით.

> *„ ადამიანი, რომელსაც არ აქვს წვრილმანებით ტკბობის ნიჭი, ვერასდროს იქნება სრულყოფილად ბედნიერი. ბედნიერება, მარგალიტის მარცვლებივითაა გარშემო მიმოფანტული და ყველგან შეიძლება მისი პოვნა: მზის სხივებში, ცის ლაჟვარდში, ზღვის ტალღებში, გაზაფხულის გაშლილ ყვავილებში, შემოდგომის ფერებში, წრფელ ღიმილსა და უანგარო სიყვარულში*

ავტოავარია ბათუმი-ხულოს გზაზე

მუნიციპალური ავტობუსი ბათუმი-ხულოს მიმართულებით რეისს ასრულებდა. ქედის რაიონის ტერიტორიაზე ავტობუსს მსუბუქი მანქანა შეეჯახა. მსუბუქ მანქანაში მყოფი ერთი მგზავრი ადგილზევე გარდაიცვალა. მძიმე ტრავმა მიიღო მსუბუქი მანქანის მძღოლმა, რომელიც სამკურნალო დაწესებულებაშია გადაყვანილი.

ავარიის შედეგად დაზიანდა მუნიციპალური ავტობუსი. მომხდარზე დაწყებულია გამოძიება. გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე გარდაცვლილისა და დაზარალებულის ვინაობას არ ვაცხადებთ.

დეპრესია, ნევროზი თუ ფსიქიკური აშლილობა – როგორ უნდა დავაღწიოთ თავი საშიშ დაავადებას?!

მანანა ტაკიძე 577 10 15 17

დეპრესია ფსიქიკური აშლილობის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმაა, რომელიც ხშირად შფოთვის კვალდაკვალ ვითარდება. დეპრესიის მკურნალობა მოიცავს როგორც ფსიქოთერაპიას, ისე მედიკამენტურ ან პროცედურულ მკურნალობას. ფსიქოლოგების განცხადებით, დეპრესია შეიძლება იყოს მსუბუქი და ხანმოკლე, ან მძიმე და ხანგრძლივი. ზოგიერთ ადამიანს დეპრესია მხოლოდ ერთხელ ემართება, ზოგმა კი შეიძლება რამდენჯერმე განიცადოს. დეპრესია ძალიან საშიში დაავადებაა, რამაც შეიძლება თვითმკვლელობამდეც კი მიგვიყვანოს. დაავადების თავიდან აცილება მხოლოდ სათანადო დახმარების გაწევის შემთხვევაშია შესაძლებელი

დაავადების გახშირებული შემთხვევების მიზეზებზე, მისი მოგვარების გზებზე, ეკლესიის როლზე, იმაზე - შესაძლებელია თუ არა საკუთარი თავისა და სხვებისთვის დიაგნოზის დასმა, როგორ შევინარჩუნოთ სიმშვიდე და ჰარმონია, ასევე, მკითხველისთვის საინტერესო სხვა საკითხებზე ბსუ-ის იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, ფსიქოლოგიის კლინიკის ხელმძღვანელი ***ძეთევან ბერიძე*** *გვესაუბრება.*

- ქალბატონო ქეთევან, ხშირად დავობენ იმაზე, რა არის დეპრესია - ნევროზი თუ ფსიქიკური აშლილობა?

- XXI საუკუნეში ადამიანები სულ უფრო მეტად ფიქრობენ მენტალურ ჯანმრთელობაზე. სტატისტიკა აჩვენებს, რომ განსაკუთრებით გაიზარდა ფსიქიკური აშლილობების მქონე პირთა რაოდენობა. რთულია, დავასახელოთ ერთი კონკრეტული მიზეზი, რომელსაც ადამიანი მიჰყავს ამ მდგომარეობამდე, ეს შესაძლოა იყოს: საზოგადოების ცხოვრების დონე, სოციალური მდგომარეობის ხარისხი, ოჯახი, სკოლა, გარემო, რაც, ბუნებრივია, გავლენას ახდენს ფსიქიკაზე. დეპრესია მიეკუთვნება ნევროზული რეგისტრის აშლილობებს. დეპრესიული ეპიზოდები განსხვავებულია და შეგვიძლია დავყოთ სხვადასხვაგვარად. მაგალითად, არსებობს ზომიერი, მსუბუქი და მწვავე დეპრესიული ეპიზოდები, ხოლო კლინიკური სურათის მიხედვით შეგვიძლია გამოვყოთ: მელანქოლიური, არამელანქოლიური, ფსიქოზური და ატიპიური დეპრესია. საერთაშორისო დაავადებათა კლასიფიკაციაში დეპრესიას მინიჭებული აქვს ინდივიდუალური კოდი და, შესაბამისად, საკუთარი ამოცნობის და მართვის კრიტერიუმები. DSM-IV-ის მიხედვით, დეპრესიისთვის, ძირითადად, დამახასიათებელია შემდეგი სიმპტომები:

1. ინტერესის, სიამოვნების მიღების უნარის დაქვეითება;
2. მომავლისადმი პესიმისტური განწყობა;
3. მადის დარღვევა (ხშირად გამოხატულია მადის დაქვეითებით ან მომატებით);
4. ძილის დარღვევები (მუდმივი ძილიანობა ან ძილის ხანგრძლივობის მკვეთრი შემცირება, ჩაძინების სირთულე);
5. ფსიქომოტორული აჟიტირება ან პირიქით - შენელება;
6. დაღლილობა, ენერგიის დაქვეითება;
7. დეპრესიული (დაქვეითებული) გუნება-განწყობა;
8. დაბალი თვითშეფასება (საკუთარი თავის და შესაძლებლობების პესიმისტური ხედვა).

ადამიანების უმეტესობა განიცდის ერთერთს ამ სიმპტომებიდან ცხოვრების გარკვეულ მომენტში, მაგრამ კლინიკური დეპრესიის მქონე ადამიანებისთვის მრავლობითი სიმპტომი გრძელდება, მინიმუმ, ორი კვირის განმავლობაში და შეიძლება უკიდურესად საშიში გახდეს. მძიმე დეპრესიის ნიშნებია სუიციდური აზრები, თვითდესტრუქციული ქცევები და ჰალუცინაციები ან ბოდვები. ნევროზი კი არის ფსიქიკური აშლილობა, ნევროზული რეგისტრის აშლილობების ჩამონათვალი საკმაოდ ვრცელია და მას მიეკუთვნება ისეთი ფსიქიკური აშლილობები, როგორებიცაა: დეპრესია, პანიკური აშლილობა, ობსესიურ-კომპულსიური აშლილობა, ჰიპოქონდრიული ნევროზი, გენერალიზებული შფოთვითი აშლილობა და სხვა.

- დღევანდელობაში დაავადების გახშირების მიზეზი რა არის?

- თანამედროვე ცხოვრება სავსეა გამოწვევებით, განსაკუთრებით აღსანიშნავია სამყაროში ეკოლოგიური მდგომარეობა, დაბინძურებული ჰაერი, მოჭარბებული სატრანსპორტო საშუალებები, ხმაური, ცხოვრების დაჩქარებული რიტმი, ზღვა ინფორმაცია. ამასთანავე, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ადამიანები განსხვავდებიან ერთმანეთისგან ნერვული სისტემის თავისებურებით, სტრესმედეგობით, ადაპტაციის უნარით, ამის მიხედვით ზოგი უფრო მოწყვლადია და, შესაბამისად, არსებული გარემოება იქნება ფსიქიკური აშლილობის მაპროვოცირებელი ფაქტორი.

- დეპრესია ძალიან გახშირდა მოზარდებში, უფროსების ცხოვრების სტილმა შეიძლება თუ არა გავლენა მოახდინოს მოზარდებზე?

- ცხოვრების ყველა პერიოდი ადამიანის წინაშე აყენებს განვითარების რთულ ამოცანებს, რომელთა გადაწყვეტა მისგან მოითხოვს ახალ ჩვევებსა და განსხვავებულ ურთიერთობებს. ფსიქოლოგთა უმრავლესობა ეთანხმება მოსაზრებას, რომ მოზარდები აუცილებლად დგებიან ორი მთავარი ამოცანის წინაშე: მშობლებისაგან გარკვეული ავტონომიისა და დამოუკიდებლობის მიღება; იდენტურობის ჩამოყალიბება, მთლიანი „მეს“ შექმნა, რომელშიც ჰარმონიულადაა შეხამებული პიროვნების სხვადასხვა ელემენტი. ფართოდაა გავრცელებული შეხედულება, რომ მოზარდები მიმართავენ კონფლიქტსა და ამბოხს, როგორც მშობლებისგან ავტონომიისა და დამოუკიდებლობის მიღწევის ძირითად საშუალებას. მართალია, მოზარდთა 10-20%-ს აქვს ესა თუ ის ფსიქოლოგიური დარღვევა, მაგრამ მოზარდთა უმრავლესობა კარგადაა ადაპტირებული ცხოვრებასთან და არ აქვს კონფლიქტი არც მშობლებსა და არც საკუთარ თავთან. ამიტომ მკვლევართა დიდი ნაწილი თვლის, რომ მოზარდსა და ოჯახს შორის კონფლიქტების რაოდენობა გაზვიადებულია და იგი არ წარმოადგენს განვითარების აუცილებელ შემადგენელ ნაწილს. ადამიანი სოციალური არსებაა და ბევრ რამეს მიბაძვით სწავლობს, განსაკუთრებით ავტოპილოტით გადააქვთ მშობლების ქცევები. თავს შევიკავებ მოზარდებში დეპრესიის დიაგნოზის მომატებაზე საუბრისგან. არსებულ მდგომარეობას დავარქმევდი დეპრესიულ გუნება-განწყობას, რომელიც თავისთავად დამახასიათებელია მოზარდობის პერიოდისთვის. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ მოზარდობის პერიოდს მეორენაირად მელანქოლიურ პერიოდსაც უწოდებენ.

- რამდენად ხშირად მოგმართავენ ამ პრობლემებით და რა დრო გჭირდებათ ერთი შემთხვევის მოსაგვარებლად?

- შეიძლება ითქვას, რომ საკმაოდ ხშირად, თუმცა აღსანიშნავია, რომ ადამიანები, უმეტესად, დეპრესიას არქმევენ მდგომარეობას, რომელშიც იმყოფებიან, თუმცა მათი ფსიქოლოგიური მდგომარეობა არ გახლავთ დეპრესია. თუ დეპრესიის დიაგნოზი აქვს პაციენტს, საჭიროებს, მაქსიმუმ, 16 სესიას. მკურნალობის დროს გასათვალისწინებელია დეპრესიის ხარისხი. მძიმე და საშუალო ხარისხის დეპრესიის დროს, ფსიქოთერაპიულ მკურნალობასთან ერთად, საჭიროა მედიკამენტური თერაპია და, შესაბამისად, ფსიქიატრის ჩართვა.

- თანამედროვე ცხოვრებაში ფსიქოლოგთან ვიზიტები, შეიძლება ითქვას, მოდურიც კი გახდა...

- ფსიქოლოგის ინსტიტუტის მიმართ დამოკიდებულება ნამდვილად შეიცვალა. მოტივი შესაძლებელია სხვადასხვა იყოს, ვიღაცისთვის - მოდა, ვიღაცისთვის - საჭიროება. მნიშვნელოვანი ამ შემთხვევაში გახლავთ ის, რომ შესაძლებელია მოდის გამო ფსიქოლოგთან ვიზიტი გადაიქცეს ჭეშმარიტ მოთხოვნილებად და საჭიროებად. ამიტომ მთავარი ისაა, რომ ადამიანი ფსიქოთერაპევტთან ვიზიტის დროს იღებს გამოცდილებას, ეცნობა ფსიქოლოგის მომსახურებას, ინტერესდება, რაც ერთი მხრივ, ხელს უწყობს მის ფსიქიკურ გამოჯანმრთელებას და მეორე მხრივ, ხელს უწყობს ფსიქოლოგიის ინსტიტუტის პოპულარიზაციას.

- ეკლესიის როლი როგორია ამ შემთხვევაში? ხშირად გვესმის, ფსიქოლოგებმა მამაოები ჩაანაცვლესო...

- მუშაობის პროცესში ყოველთვის ამოვდივართ პაციენტის ინტერესებიდან, თუ შევაფასეთ, რომ ის რელიგიურია და მკურნალობა გაცილებით ეფექტური იქნება, თუ ის მიმართავს მოძღვარს, სასურველია, პროცესში ჩართული იყოს ეკლესია.

- როგორ შევინარჩუნოთ სიმშვიდე და ჰარმონია, როგორ მივეშველოთ საკუთარ თავს?

- დეპრესიის დიაგნოზის დროს რთულია, ადამიანი დამოუკიდებლად დაეხმაროს საკუთარ თავს, პირველ რიგში, საჭიროა გაერკვეს დიაგნოზში და ისწავლოს, როგორ დაეხმაროს საკუთარ თავს, რაც შესაძლებელია ფსიქოთერაპევტის დახმარებით, თუმცა ადამიანები ამისთვის ხშირად მიმართავენ ინტერნეტს, „გუგლს“ და კითხულობენ შემთხვევით ნანახ სხვადასხვა ინფორმაციას ფსიქიკურ აშლილობასთან დაკავშირებით. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ეს გახლავთ საფრთხის შემცველი და დამაზიანებელი პაციენტისთვის, ვინაიდან ამ დროს მათ ესაჭიროებათ კითხვებზე კომპეტენტური პასუხების მოსმენა და პროფესიონალი, რომელიც ზუსტად და ამომწურავად განუმარტავს პაციენტს დიაგნოზისთვის დამახასიათებელ ნიშნებს.

- ჩვენი განწყობის ამაღლებას შეუძლია თუ არა დეპრესიის დამარცხება?

- დეპრესიის დროს ადამიანს აქვს დაქვეითებული გუნება-განწყობა, რაც ხელს უშლის დეპრესიასთან გამკლავებას. მძიმე ხარისხის დეპრესიას მხოლოდ განწყობა ვერ დაამარცხებს. მკურნალობის პროცესში სხვადასხვა ტექნიკის სწავლა და დანერგვა ყოველდღიურ ცხოვრებაში დაეხმარება, გაუმკლავდეს ფსიქიკური აშლილობის ამ დიაგნოზს. მედიკამენტური თერაპია გარდაუვალია მძიმე ხარისხის დეპრესიის მქონე პაციენტებთან. მდგომარეობის გაუმჯობესების შემთხვევაში შესაძლებელია, შემცირდეს მედიკამენტების დოზა (დოზების მომატება-დაკლებას ფსიქიატრი განსაზღვრავს). დეპრესია არის ქრონიკული დაავადება, რომელიც ხასიათდება გამწვავებისა და რემისიის პერიოდებით. შესაძლოა რემისიის დროს პაციენტებმა არ მიიღონ წამლები, ხოლო გამწვავების დროს აუცილებელია დაიწყონ მათი მიღება, რათა დაეხმარონ საკუთარ თავს.

> ***„მართალია, მოზარდთა 10-20%-ს აქვს ესა თუ ის ფსიქოლოგიური დარღვევა, მაგრამ მოზარდთა უმრავლესობა კარგადაა ადაპტირებული ცხოვრებასთან და არ აქვს კონფლიქტი არც მშობლებსა და არც საკუთარ თავთან. ამიტომ მკვლევართა დიდი ნაწილი თვლის, რომ მოზარდსა და ოჯახს შორის კონფლიქტების რაოდენობა გაზვიადებულია და იგი არ წარმოადგენს განვითარების აუცილებელ შემადგენელ ნაწილს***

- ამ დიაგნოზს ხშირად თავად უსვამენ საკუთარ თავს ან ერთმანეთს, სინამდვილეში რა შემთხვევაში შეიძლება ასეთი დასკვნის გამოტანა?

- დიაგნოზის დასმა შეუძლია მხოლოდ ფსიქიატრს, ვინაიდან საჭიროებს კომპეტენციას და უფლებას. რაც შეეხება საკუთარ თავზე დიაგნოზის დასმას, დიახ, ადამიანები ამას ხშირად აკეთებენ და ცდებიან.

- რა შემთხვევაში უნდა მიმართონ ექიმს და რა შემთხვევაში შეიძლება თავად გაუმკლავდნენ სტრესს და დაძაბულობას?

- როდესაც ადამიანი დეპრესიაშია, შეიძლება მისთვის მაცდუნებელი იყოს დეპრესიის სიმპტომების შემსუბუქება ნარკოტიკებით და/ან ალკოჰოლით. კლინიკური დეპრესიის მქონე ადამიანების დაახლოებით მესამედი გადასულია ნარკოტიკების ბოროტად გამოყენებაზე, როგორც თვითმკურნალობის პროცესზე, რათა გათავისუფლდნენ უიმედობის, დაბალი თვითშეფასებისა და სასოწარკვეთილებისგან. ქიმიურმა საშუალებებმა შეიძლება დროებით შეამსუბუქოს დეპრესიის სიმპტომები, მაგრამ დროთა განმავლობაში ნეგატიური გრძნობები და თვითდესტრუქციული ქცევები კიდევ უფრო ძლიერდება. ადამიანი, როცა ამჩნევს, რომ გაუძლიერდა თვითდესტრუქციული ქცევები, დაერღვა ძილი, მნიშვნელოვნად დაიკლო ან მოიმატა წონაში, დაკარგა ინტერესი იმ საქმიანობის მიმართ, რომელიც ადრე სიამოვნებას ანიჭებდა, გაუმრავლდა კონფლიქტური სიტუაციები, მოემატა დაძაბულობა და უიმედობა, საჭიროა სასწრაფოდ მიმართოს ექიმს.

- როგორ უნდა დაიცვას თანამედროვე სამყაროში სტრესებისგან თავი ადამიანმა, რომ არ მივიდეს დეპრესიამდე ან ფსიქიკურ აშლილობამდე?

- ცხოვრება სავსეა სტრესით, შეუძლებელია საკუთარ თავს შევუქმნათ ისეთი პირობები, რომელიც დაგვიცავს სტრესისგან. მენტალური ჯანმრთელობისთვის საჭიროა შრომა და მუდმივად ზრუნვა განვითარებაზე.

ახალი კონცეფცია

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

15 სტრუქტურული და 9 ალტერნატიული ბაღია ამ ეტაპზე შუახევის მუნიციპალიტეტში, რომლებშიც 250-ზე მეტი ადამიანია დასაქმებული. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები მნიშვნელოვან როლს ასრულებს მომავალი თაობის გონებრივ და ზნეობრივ განვითარებაში. ა(ა)იპ „შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანების“ სათანადო მუშაობისა და სისტემაში დასაქმებულთა პასუხისმგებლობის გაზრდის მიზნით შუახევის მუნიციპალიტეტის მერიამ მათი საქმიანობის ახალი კონცეფცია შეიმუშავა, რომელიც გაერთიანების ადმინისტრაციის წარმომადგენლებსა და ბაგა-ბაღების მენეჯერებს მუნიციპალიტეტის მერმა ომარ ტაკიძემ, მერის პირველმა მოადგილე მირიან აბაშიძემ და მოადგილე რუსუდან შავაძემ გააცნეს. ამ ეტაპზე ადმინისტრაციული, საფინანსო და ორგანიზაციული მუშაობის გაუმჯობესებისთვის გაერთიანებაში სამი ახალი სამსახური იქმნება. ახალი წლიდან სამსახურების უფროსებს სახელფასო ანაზღაურებაც გაეზრდებათ.

შეხვედრაზე ისიც ითქვა, რომ მალე შუბნის, ხაბელაშვილების, დაბა შუახევისა და დღვანის საბავშვო ბაღებში ავტორიზაცია დაიწყება.

ისარგებლეს რა მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს პირველ პირებთან შეხვედრით, ჯაბნიძეების, ხაბელაშვილების, ბარათაულის, ფურტიოს ბაგა-ბაღების წარმომადგენლებმა მუშაობაში არსებულ პრობლემებზე გაამახვილეს ყურადღება, რომელთაგან უმრავლესობა სამუშაო ვითარებაში გადაწყდა.

ბიჭს ხელი რომ არ გაეწვდინა, იმ მომენტში მელანოს ბოლო ამოსუნთქვა ექნებოდა



თამარ ლამპარაძე 595 85 80 06

გამბედაობის საოცარ ამბავზე მინდა გიამბოთ. 12 წლის ალექსანდრე წიკლაურმა ქობულეთში დედა-შვილი ზღვაში დახრჩობას გადაარჩინა. ხანდახან ერთი კარგი საქციელით შეიძლება, მთელი ცხოვრების გასაკეთებელი შეძლო. ალექსანდრეც, ადრეულ ასაკში გამოჩენილი ვაჟკაცური საქციელით, დიდებისთვისაც მისაბაძი მაგალითი გახდა

მელანო გოგობერიშვილი ჩვენთან საუბარში ამ შემთხვევას დეტალურად იხსენებს. მისთვის 2024 წლის 21 ივლისი თავიდან დაბადებას ნიშნავს.

- ცურვა არ ვიცი, ზღვის მეშინია, ამიტომ ძალიან პატარა წყალში შევდივარ, მაქსიმუმ, წელამდე რომ მწვდება და ისიც - მხოლოდ კამერით. ზღვაში შესვლისას კამერა ხელში მეჭირა, ტალღებმა კი მომტაცა. ცალი ხელით ვცდილობდი მის დაჭერას, როცა ტალღამ ჩამითრია. ჩემთან ერთად ჩემი შვილიც წყალში ჩაიძირა - არც მან იცის ცურვა. ამ დროს დამინახა ჩემმა დამ და დასახმარებლად წამოვიდა. როგორც შეეძლო, ცდილობდა ჩემს გადარჩენას, მაგრამ თავადაც არ იცოდა ცურვა და ვერ მშველოდა. ზუსტად მახსოვს, 4-ჯერ დავიძახე, რომ ნაპირზე მყოფი ხალხისთვის ხმა მიმეწვდინა. გარშემო ძალიან ბევრი მამაკაცი იმყოფებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, რეაგირება არცერთს მოუხდენია, პლაჟიდან მიყურებდნენ, როგორ ვიხრჩობოდი, რაზეც ძალიან მტკივა გული. ამ დროს ალექსანდრე დედასთან ერთად ზღვაში ბანაობდა და რომ დამინახა, ჯერ ჩემი გოგონა გაიყვანა წყლიდან და მერე მე. ალექსანდრე რომ არ მოსულიყო, დავიხრჩობოდი, რადგან უკვე ბოლო ძალებს ვიკრებდი, რომ გული არ წამსვლოდა და არ გავგუდულიყავი. წყალიც ბევრი ვყლაპე და ყვირილის ძალაც აღარ შემწევდა. ამ ბავშვმა ხელი გამომიწოდა და წყლიდან ამომიყვანა. რომ არ დამხმარებოდა, იმ მომენტში ჩემი ბოლო ამოსუნთქვა იქნებოდა.

გადარჩენის დეტალებს იხსენებს ალექსანდრე წიკლაურიც.

- საღამო იყო. ნელ-ნელა ხალხი ზღვიდან ამოდიოდა, რადგან ტალღის სიმძლავრემ მოიმატა. უეცრად ქალბატონის ყვირილი შემომესმა, რომელსაც გვერდით არავინ ჰყავდა და როგორც დავინახე, კამერა ტალღამ წაართვა. ქალბატონს მივუახლოვდი და შევამჩნიე, რომ მისი შვილიც ტალღებს ჰყავდა ჩათრეული. ძალიან დიდი ტალღების მიუხედავად, ჯერ მისი შვილი გამოვიყვანე ნაპირზე და შემდეგ ქალბატონი, რომლის გამოყვანაც ძალიან გამიჭირდა. როცა ნაპირზე ამოვედი, თავიდან ვერ მივხვდი, რა გავაკეთე, მაგრამ რომ გავიაზრე, ძალიან ბედნიერი ვიყავი, რადგან ორი ადამიანი სიკვდილს გადავარჩინე. ქალბატონი მელანო დღემდე მადლობას მიხდის და ბედნიერია, რომ მე და დედა გაგვიცნო.

სამაგისტრო გამოცდაზე – თამარ მეფის სამოსითა და ფეხბურთის ეროვნული ნაკრების მაისურით

თამარ ლამპარაძე 595 85 80 06

რამდენიმე დღის წინ სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ გავრცელდა ჟურნალისტ ***ხატია ცარციძის*** *ფოტო, სადაც ის თამარ მეფის სამოსითა და საქართველოს ფეხბურთის ეროვნული ნაკრების ფორმით წარმოგვიდგა. როგორც აღმოჩნდა, ხატია ასე გამოწყობილი მივიდა საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩასაბარებლად.*

- **რატომ გადაწყვიტეთ გამოცდაზე ასე ორიგინალურად მისვლა?**

- საქართველოს საფეხბურთო ნაკრების მიერ ევროპის ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპის დაძლევასთან დაკავშირებით, ბევრმა დადო პირობა, ჩემი პირობა გამოცდებზე თამარ მეფის სამოსით მისვლა იყო. სიმბოლურია, რომ საქართველოს ერთ-ერთ საუკეთესო ისტორიულ პერიოდს მოიცავს თამარის მეფობა და ქართული ფეხბურთის, ამ დრომდე, საუკეთესო ისტორია კი 2024 წელს დაიწერა. მჯერა, უკეთესი წარმატებები წინ გველოდება. გერმანიაში საგულშემატკივროდ რომ წავედი, ჯანმრთელობის დაზღვევაც კი ხანგრძლივი გავაკეთე, რადგან მჯეროდა, გავიმარჯვებდით.

- **თამარ მეფის სამოსთან ერთად საქართველოს ნაკრების მაისურიც გეცვათ.**

- გამოცდაზე თამარ მეფის სამოსით ჩემი მისვლა საფეხბურთო ზეიმის გაგრძელება იყო, ამიტომ მთავარი მესიჯი კოსტიუმზე უნდა ასახულიყო - მარტივად, თამარ მეფის სამოსს ეროვნული ნაკრების მაისური დავამატე, თამარ მეფეც ხომ იამაყებდა ჩვენი ნაკრებით.

- **რატომ მაინცდამაინც თამარ მეფე?**

- თამარი გამარჯვების, წარმატების და სიძლიერის სიმბოლოა.

- **როგორი იყო გამოცდაზე შესვლისას საზოგადოების რეაქცია?**

- ეს ჩემთვის მე-20 გამოცდა იყო (ეროვნულ და სამაგისტრო ფორმატში). საგამოცდო ცენტრში ყველა გამხიარულდა და, რა თქმა უნდა, გავიარე ყველა საჭირო პროცედურა. მომავალი მაგისტრანტების რეაქციაც სახალისო იყო. მადლობა მინდა გადავუხადო საგამოცდო ცენტრის თანამშრომლებს და ყველას, ვინც 39-ე საჯარო სკოლაში იყო. მეორე დღეს კოსტიუმის გარეშე მივედი და ყველა მაინც თამარ მეფეს მეძახდა.

- **ონლაინსივრცეში?**

- სოციალურ ქსელებში დადებითი გამოხმაურება იყო და ასევე, ტრადიციულად, ბულინგიც, რაზეც განსაკუთრებით, მამიდაჩემმა ინერვიულა, ძალიან შეწუხდა. სიმართლე გითხრათ, ყველაფერი არც გადამიკითხავს. ყველას აქვს უფლება, საკუთარი აზრი გამოხატოს, მაგრამ ცუდია თუ გამოხატვის თავისუფლება ბულინგში გადადის. ყველა ადამიანი თავისუფალია და დაუშვებელია სხვადასხვა ნიშნით მისი ჩაგვრა. ამ ადამიანებზე არ ვბრაზდები, ვურჩევ, უბრალოდ, განალისდნენ.

- **როგორ ფიქრობთ, მოგბაძავენ?**

- მოხარული ვიქნები თუ განათლების მიღებაში მომბაძავენ, რადგან განათლება ერთადერთია, რითაც შეგიძლია შენი ცხოვრება შეცვალო, სურვილები აისრულო და მერე სხვებს მისცე ძალა, იბრძოლონ საკუთარი ოცნებების შესრულებისთვის. ჩემს ცხოვრებაში მარტივად არაფრისთვის მიმიღწევია, დიდი და რთული გზა გავიარე. ბავშვობაში ქაღალდის მიკროფონებს ვაკეთებდი და ვითომ სტადიონზე, ევროპის/მსოფლიო ჩემპიონატზე ვიყავი, ან ოლიმპიადაზე და რეპორტაჟს ვაკეთებდი.

- **გამოცდებმა როგორ ჩაიარა? კმაყოფილი ხართ საკუთარი თავით?**

- ევროპის ჩემპიონატის ფინალიდან 6 საათზე ჩამოვფრინდი და წავედი გამოცდაზე. მეცადინეობაც ვერ მოვასწარი. რეპეტიტორებთან სკოლის პერიოდშიც არ მივლია, ჩემი მიზანი გამოცდების ჩაბარებაა, ვფიქრობ, ჩავაბარე.

- **გეგმები გაგვიზიარეთ.**

- ამ ეტაპზე ორი მაგისტრატურა მაქვს დამთავრებული, კიდევ ორი - ჩაბარებული. ვფიქრობ, კიდევ ჩავაბარებ. მომავალშიც გავაგრძელებ განათლების მიღებას და იმედი მაქვს, კიდევ შევძლებ მივიწყებული სურვილების ასრულებას. მჯერა, პროფესიულ საქმიანობაში დიდ გამარჯვებებს კვლავ ბევრჯერ გავაშუქებ.

- **ევროპის ჩემპიონატის შთაბეჭდილებებზეც გვიამბეთ...**

- ფინალის ემოციები სხვა განზომილებაა. 4 წლიდან ჟურნალისტობაზე ვოცნებობდი, ძალიან ბევრჯერ მითამაშია საქართველოსა და ფეხბურთის ჩემპიონატზე მისი ფინალზე გასვლის ამბების გაშუქება, ამიტომ ეს ჩემთვის მორიგი დიდი სასწაული იყო - დიდებულ კადრებს უყურებ და გესმის საოცარი ხმები. აუცილებლად ყველამ საკუთარი თვალით უნდა ნახოს ეს ყველაფერი. ვინც საქართველოს თამაში ნახა, ახალი საქართველო აღმოაჩინა. მე სპორტსა და ეროვნულ იდენტობას ვიკვლევ და ეს გამარჯვება მშვენიერი დასტურია იმისა, თუ რა როლი უჭირავს სპორტს ქვეყნის წარმოჩენაში, ეროვნული ნაკრების ევროასპარეზზე გასვლით როგორ გაგვიცნო მთელმა მსოფლიომ. გერმანიაში რომ გაიგებდნენ, ქართველი ვიყავი, ჩვენს ნაკრებზე დაუსრულებლად ლაპარაკობდნენ. საქართველოს დროშა ყველგან ფრიალებდა. შემდეგ ფინალისთვის ბერლინში დავბრუნდი და იქ ისევ ახსოვდათ დებიუტანტი საქართველო. ეს არ არის უბრალოდ ფეხბურთის გამარჯვება, ეს არის ქვეყნის გამარჯვება, ჩვენი სამშობლოს ცნობადობის გაზრდა და საერთაშორისო დონეზე წარმოჩენა.

ბათუმი ბილიარდში ევროპის ჩემპიონატს მასპინძლობს

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

აჭარის მთავრობის, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის მხარდაჭერით, ევროპის სალუზო ბილიარდის ფედერაციის ეგიდით, ევროპის პირამიდის ფედერაციასთან ერთად, საქართველოს ბილიარდის ეროვნული ფედერაციისა და აჭარის ბილიარდის ფედერაციის ორგანიზებით, ბათუმი თავისუფალ პირამიდაში ევროპის ჩემპიონატს მასპინძლობს.

ევროპის ჩემპიონატზე ოფიციალურად თოთხმეტი ქვეყანა დარეგისტრირდა, ესენია: აზერბაიჯანი, სომხეთი, უკრაინა, ფინეთი, მოლდავეთი, ისრაელი, ყაზახეთი, ლიეტუვა, ლატვია, ესტონეთი, თურქმენეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, ირანი და საქართველო.

სულ ღონისძიებაში 104 მობილიარდე მონაწილეობს, აქედან 20 - საქართველოდან, მათ შორის ხუთი - აჭარიდან.

ჩემპიონატი გუშინ ოფიციალურად გაიხსნა, ფინალური შეხვედრები კი 28 ივლისს გაიმართება.

ევროპის ჩემპიონატზე, პარალელურად, ევროტური მიმდინარეობდა სენიორებში, რომელშიც 12 ქვეყნის 50-მდე მობილიარდე მონაწილეობდა, მათ შორის საქართველოდანაც. აჭარიდან ნუგზარ თებიძე 16 საუკეთესოთა შორის მოხვდა. ფინალში თბილისელმა პაატა ხმალაძემ ფინელი სპორტსმენი დაამარცხა და სენიორებს შორის პირველი ადგილი მოიპოვა.

ევროპის ჩემპიონატს მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სპორტის სასახლე მასპინძლობს.

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ა
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 25/07/24, 19 55 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

„მე მოვალ - სიზმარი“ - გალაკტიონის ცხოვრების ექო

ნანა აბულაძე 577 20 35 90

ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის დრამატულმა თეატრმა თბილისის ერისთავის თეატრს უმასპინძლა, რომელმაც ბათუმელ მაყურებელს სპექტაკლი „მე მოვალ - სიზმარი“ შესთავაზა

მსახიობებმა დავით დარჩიამ და მაკა შალიკაშვილმა მაყურებელს გალაკტიონ ტაბიძის ლექსებსა და ჩანაწერებზე აგებული ლიტერატურული პერფორმანსით კიდევ ერთხელ გვამოგზაურეს უდიდესი პოეტის შემოქმედების ამოუწურავ ლაბირინთებში.

- ყველას ჩვენი გალაკტიონი გვყავს, ყველას ჩვენეული ამოხსნა გვაქვს მისი დიდი საიდუმლოსი. შევეცადეთ, გვეჩვენებინა მისი ცხოვრებისეული ასპექტები და ბრძოლა რეალობასა და თავის წარმოსახვით სამყაროს შორის; როგორ უწევდა ამ ბუმბერაზ ადამიანს ცენზურასთან ჭიდილი, მაგრამ მაინც ახერხებდა სათქმელის მკაფიოდ თქმას. მიუხედავად იმისა, რომ ამდენი წლის წინ შეიქმნა მისი შემოქმედება, დღესაც აქტუალურია. ვფიქრობ, სწორედ ეს არის ჭეშმარიტი პოეზია, პოეზია, რომელმაც გაუძლო დროს. მინდა, მადლობა გადავუხადო ბათუმის დრამატულ თეატრს მასპინძლობისთვის. ჩვენთვის მნიშვნელოვანი გასტროლია, მით უმეტეს იმ სპექტაკლით, რომელშიც ერთი მონაწილე ჩვენი და ბათუმის დრამატული თეატრის მსახიობიცაა, მეორე კი მოწვეული მსახიობია რუსთაველის ეროვნული თეატრიდან. მადლობა ბათუმელ არაჩვეულებრივ მაყურებლებს, რომელთა ემოციები ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის, - გვითხრა რეჟისორმა ნიკოლოზ ჰაინე შველიძემ.

მსახიობი დავით დარჩია ამბობს, რომ მისთვის გალაკტიონის პოეზიაში მოგზაურობა, სასიამოვნოსთან ერთად, საპასუხისმგებლოა.

- სხვანაირი ემოციის მომგვრელია გალაკტიონის პოეზია. კითხულობ და ასე გგონია, დღეს ის შენ გვერდით ცხოვრობს, გრძნობს, ტკივა და უხარია. მადლობა მაყურებელს, რომელმაც გვაგრძნობინა, რომ შევძელით ჩვენი წილი გალაკტიონის ზუსტად მიტანა მათთან, - გვითხრა მან.

მსახიობ მაკა შალიკაშვილის თქმით, ყოველი სპექტაკლი, რომელშიც ბოლომდე იხარჯები, მნიშვნელოვანია, თუმცა სპექტაკლი „მე მოვალ - სიზმარი“ განსაკუთრებულია, რადგან ის გალაკტიონის განვლილ გზასა და ქარტეხილებით აღსავსე ცხოვრებაზე მოგვითხრობს.

- დღეს ბათუმში განსაკუთრებული იყო გალაკტიონი. სცენაზე გასვლის წინ ჩემს თავს ვუთხარი: მაკა, დღეს შენ ხალხს გალაკტიონის სიტყვებით, ლექსით მოუყევი შენი ტკივილი, შენი წარუმატებლობა თუ წარმატება. გამოვედი, მოვუყევი და ძალიან გულწრფელი გამოვიდა იმიტომ, რომ უდიდესი, საოცარი ძალა მოდიოდა მაყურებლისგან. მადლობა ადამიანებს, რომლებიც გვაძლევენ ძალას და სტიმულს, ვიყოთ გულწრფელები, მადლობა პოეზიას, რომელიც მაძლევს საშუალებას, საკუთარი განცდები და ემოციები გაგიზიაროთ, - გვითხრა მაკა შალიკაშვილმა.

კულტურა, როგორც დიალოგის ენა

ნანა აბულაძე 577 20 35 90

აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმში „საერთაშორისო პლენერი მშვიდობისთვის 2024“ გაიმართა. პროექტში ადგილობრივი და საერთაშორისო მასშტაბით მოღვაწე, მათ შორის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებული მხატვრები მონაწილეობდნენ. პროექტის ფარგლებში, რამდენიმე დღის განმავლობაში, მათ არაერთ ფერწერულ ტილოზე იმუშავეს, რომელთა ძირითადი ნაწილი ბათუმის, ზოგადად, აჭარის მშვენიერებას წარმოაჩენდა

აფხაზეთის მხატვართა კავშირის თავმჯდომარის, ეთნიკურად აფხაზი ჯემალ ბასარიას თქმით, მსგავსი პროექტები, პლენერები და გამოფენები იძლევა საშუალებას, კიდევ უფრო დავუახლოვდეთ აფხაზეთში მცხოვრებ მხატვრებს, შემოქმედ ადამიანებს და, ზოგადად, მოსახლეობას. მისივე თქმით, კულტურის ენა ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი „იარაღია“ არსებული პრობლემების აღმოსაფხვრელად.

- მოხარული ვარ, რომ რამდენიმე დღეა, ბათუმში ვიმყოფები ჩემს კოლეგა მხატვრებთან ერთად, სადაც ყოველ ჯერზე გულთბილად გვხვდებიან. შესაბამისად, ჩვენც ისე ვგრძნობთ თავს, როგორც საკუთარ სახლში. საერთაშორისო პლენერში ჩვენთან ერთად მონაწილეობდნენ შავი ზღვის აუზის ქვეყნების მხატვართა ასოციაციის წევრები, ეს კი ნიშნავს, რომ ჩვენ - ხელოვანებს გვსურს, ურთიერთობები გავამყაროთ არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთ. კულტურას, ხელოვნებას შეუძლია დაგვაახლოოს ჩვენს აფხაზ დებსა და ძმებთან, აღადგინოს ის კავშირი, რომელიც შინაგანად არასოდეს გაწყვეტილა. ეთნიკურად აფხაზი გახლავართ, გვაქვს ურთიერთობა, კომუნიკაციები აფხაზ მხატვრებთან. მათ ძალიან სურთ ჩვენთან ურთიერთობა, მაგრამ მოგეხსენებათ არსებული პრობლემის შესახებ. შემოდგომაზე ვაპირებ აფხაზ და ქართველ ხალხთა მეგობრობის ზეიმის მოწყობას. ეს ძალიან უნდათ ჩვენთან ურთიერთობა და ჩვენც, ყველა დონეზე, უფრო მეტი უნდა ვიმუშაოთ მხატვრებთან, მწერლებსა თუ სხვა პროფესიის ადამიანებთან. რაც შეეხება ჩემს ნამუშევრებს, აღნიშნულ პლენერზე ორი ტილო წარვადგინე: ერთზე - ბათუმის ბულვარის მშვენიერება, მეორეზე კი ზღვის პეიზაჟია აღბეჭდილი. ბათუმი ისეთი ლამაზი ქალაქია, აჭარაში ისეთი გულმზიანი ხალხი ცხოვრობს, შეუძლებელია, არ დახატო, ლექსი არ მიუძღვნა, არ უმღერო, - გვითხრა აფხაზეთის მხატვართა კავშირის თავმჯდომარე ჯემალ ბასარიამ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე აკაკი ძნელაძის თქმით, მსგავსი პროექტები აფხაზეთთან მიახლოების საწინდარია.

- ეს არის საერთაშორისო პლენერი, რომლის მიზანია აფხაზეთიდან დევნილი და ბათუმელი მხატვრების ურთიერთობის გაღრმავება. ამას ემატება საერთაშორისო სეგმენტიც, რაც კიდევ უფრო საინტერესოს ხდის პლენერს. პროექტში მონაწილე ადამიანები რამდენიმე დღე ერთად ცხოვრობდნენ, ხატავდნენ, აქვთ როგორც პრივატული, ასევე შემოქმედებითი ურთიერთობა. ეს არის იმპულსი, რომელიც ხვალინდელ აფხაზეთთან მიახლოებას და ამ ტკივილზე ერთხელ და სამუდამოდ წერტილის დასმას გამოიწვევს. ასეთი ურთიერთობები შემოქმედებს შორის საქართველოს გაერთიანების საწინდარია, - აღნიშნა აკაკი ძნელაძემ.

სსიპ „აჭარის მუზეუმების გაერთიანების“ დირექტორმა თეონა ზოიძემ მადლობა გადაუხადა „საერთაშორისო პლენერი მშვიდობისთვის 2024“-ში მონაწილე თითოეულ მხატვარს და დასძინა: „არ არსებობს არცერთი დღე, როცა ქართველი არ ფიქრობს აფხაზეთზე და აფხაზეთისთვის“.

პლენერი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტროსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ერთობლივი ორგანიზებით გაიმართა.

„მთის დღეები“

ცოტნე ცაბაძე 27 48 93

კურორტ გოდერძიზე „მთის დღეები“ გაიმართა. ამ ღონისძიებაში მონაწილეობდნენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე, აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ნინო ნიჟარაძე, საქართველოს პარლამენტის წევრი ანზორ ბოლქვაძე, რეგიონის, ხულოს, შუახევის, ქედის მუნიციპალიტეტების აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების პასუხისმგებელი მუშაკები

გოდერძიზე „მთის დღეების“ მონაწილეებს მიესალმნენ: თორნიკე რიჟვაძე, ხულოს მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ ბერიძე, ანზორ ბოლქვაძე.

მთისთვის ჩვეული ბურუსიანი და წვიმიანი ამინდის მიუხედავად, დაგეგმილი ღონისძიებები არ შეფერხებულა. დღის მეორე ნახევრიდან ჩატარდა სხვადასხვა კულტურული, სპორტული და გასართობი ღონისძიება: ადგილობრივი მეწარმეების პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა; ადგილობრივი მზარეულების კულინარიული ფესტივალი; სახალისო და სპორტული აქტივობები: ცხენებით გასეირნება; ყვავილების გვირგვინების დამზადება; ხატვა და გაფერადება; ადგილობრივი მზარეულების მიერ აჭარული ყველის ამოყვანა და ტრადიციული აჭარული კერძების მომზადება...

საინტერესო გამოდგა დაჯილდოების ცერემონია „მთის დღეები 2024“. ეროვნული მეურნეობის სხვადასხვა სფეროში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისთვის მადლობის სიგელი გადაეცა ბეჟან რიჟვაძეს, კარგი მუშაობა ასევე დაუფასეს გულერი დეკანაძესა და გოდერძის ალპური ბაღის დირექტორ თემურ ვასაძეს.

ღონისძიების მონაწილეთა განწყობაზე იზრუნა სანდრო ჯორბენაძემ, საღამო კი ჯგუფი „რეგიონისა“ და „თბილისური კვარტეტის“ კონცერტით დასრულდა.